რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 16 მარტი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

ხელის მოწერის ფასი: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ., ექვსი თვით 27 მ., ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. [illegible]

ხელის მოწერისათვის ფული უნდა გამოიგზავნოს: «Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція «Эртоба»». [illegible] (Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 61 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 61

[illegible]

მაგდანე კიტრეს ასულის გუგაშვილის

გარდაცვალებას, [illegible] (2—1)

[illegible]

ეკატერინე იონას ასული თოხაძის

სულის მოსახსენებლად. (1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მამა იულიანე ბიჭიას ძე, დედა ეფროსინე დიანოსის ასული, შვილები: რომან, ოლიფანტე, ნინა და ალიოშა. ბებია და ბაბუა. მამიდა ნინო, ბიძა გიგო, ბიცოლა ტასია ძნელაძის ასული. ბიძაშვილები: ლევანტი, ისიდორე, კალენიკე, სარაპიონ, ილარიონ და შუშანა; რძლები: ნადია და დადიშკო გულითადის მწუხარებით აუწყებენ: ნათესავთ, ნაცნობთ ძვირფასი და დაუვიწყარი

ნატაშა იულიანეს ასული თოდრიას

უდროოდ გარდაცვალებას. (1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მამა გიგო ბიჭიას ძე, დედა ტასია ლაზარეს ასული თოდრია, მეუღლე ნადია, შვილები: მარგარიტა, სერგო და თამარა, რძალი მოდიშკო გიორგის ასული, ძმის-წულები დონა, მარუსა, ძმები: ლევანტი, ისიდორე, კალენიკე, სარაპიონ, ილარიონ და დაი შუშანა, ბაბუა ბებია, მამიდა, ბიძა ივლიანე ბიჭიას ძე, ბიცოლა ეფროსინე, ბიძაშვილები: რომანი, ოლიფანტე, ნინა, ნატაშა და ალიოშა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ

ვიკტორ გიგოს ძე თოდრიას

უდროოდ გარდაცვალებას. გარდაიცვალა ქ. ბაქოში რკინის გზის საავათმყოფოში 14 თებერვალს 1918 წ. ძმები გამოასვენებენ სამშობლოში (გურია) ს. იანეთში თავის საკუთარ სახლში 15 მარტს. დაკრძალვა მოხდება შაბათს 17 მარტს ს. ერკეთში მთავარ ანგელოზის ეკლესიის გალავანში.

## განცხადება

სდგება ახალი საგანგებო ქართული ბატალიონი, რომელიც იქნება მთავრობისა და სეიმის სრულს განკარგულებაში.

ბატალიონის მიზანია: დაცვა რევოლიუციონური მთავრობისა და შენარჩუნება რევოლიუციისაგან მონაპოვარ უფლებათა.

ხსენებულ ბატალიონში ჩაწერის მსურველთ ყოველგვარი ცნობის მიღება ჩარიცხვის შესახებ შეუძლია პრაპ. ესაკიასთან გუდოვიჩის ქუჩა ლაზ. № 50. 3—1

## ტფ. გუბერნიის სასურსათო კომიტეტისაგან

ამა წლის 9 მარტიდან გამოქვეყნებულ საქონლის შემოტან-გატანის არსებულ წესის შესაცვლელად ტფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა დაადგინა, რათა მიმდინარე წლის 12 მარტიდან ნებადართულ იქმნას აბრეშუმის თესლის—გრენის დაუბრკოლებელი გატანა ამიერ-კავკასიის საზღვრებში.

ეს დადგენილება ეცნობა აგრეთვე ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს და ამის შემდეგ ყველას საშვალება ეძლევა უნებართვოთ წარუდგინონ თესლი სადგურის უფროსებს თავის ადგილზე გადასაგზავნათ.

(3—3) ტფ. გუბერნიის სასურსათო კომიტეტი.

## სახლის კომიტეტებს

საბარათო სისტემის განყოფილება სთხოვს ყველა სახლის კომიტეტებს ამ თავითვე შეუდგენ ახალ სასურსათო ბარათების მიღებას (შაქრის, ნავთისა და სხ.) რომ ამით თავიდან აცილებულ იქმნას თვის ბოლო რიცხვებში ბიუროებთან მოქალაქეთა შეგროვება და გრძელი რიგები.

(3—3) ქალაქის გამგეობის საბარათო სისტემის განყოფილება.

## მოწოდება

ძვირფასო ამხანაგებო!

შეუსაბამო საგამომცემლო პირობების გამო პირველი იანვრიდან არსებობა შესწყვიტა ჩვენმა საყვარელმა ჟურნალმა „ეშმაკის მათრახმა“. „ეშმაკის მათრახი“ აღარ გამოდის, მაგრამ მისი ხანგრძლივი შეწყვეტა შეუძლებელია. „ეშმაკის მათრახმა“ უნდა იარსებოს. ამას გრძნობს ყველა ჩვენგანი. საჭიროა მხოლოდ ეს გრძნობა კიდევ გავაღვივოთ და ჟურნალის განახლების საქმე სინამდვილეთ ვაქციოთ.

მრავალი წერილები მოგვდის ამხანაგებისა და თანამგრძნობებისაგან: ყველანი ერთხმათ მოითხოვენ ჟურნალის გამოცემის განახლებას და მზათ არიან სათანადო დახმარებაც აღმოუჩინონ მას.

ჩვენც სიამოვნებით ვეგებებით ამ კეთილშობილ სურვილს „ეშმაკის მათრახის“ მკითხველებისას და ვკისრულობთ საჭირო ფონდის შედგენას, ურომლისოდ ჟურნალის გამოცემა ყოვლად შეუძლებელია.

ძვირფასო ამხანაგებო! თქვენზეა დამოკიდებული „ეშმაკის მათრახის“ განახლების საქმე. მაშ ნუ დააყოვნებთ დახმარებას.

ფულის მოკლე ანგარიშები დაიბეჭდება გაზეთ „ერთობა“-ში, ხოლო სრული სია შემომწირველთა გამოქვეყნდება თვით „ეშმაკის მათრახის“ ფურცლებზე.

ფული და ყოველგვარი მიწერ-მოწერა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

Тифлисъ редакція „Эртоба“ почт. ящ. № 199 для „Эшмакисъ Матрахи“.

ამხანაგური სალამით „ეშმაკის მათრახი“-ს ფონდის გამაძლიერებელი კომისია.

## ეროვნული თუ კლასობრივი ბრძოლა

მეტათ გამწვავებული მდგომარეობაა შექმნილი კავკასიის ერებ შორის, განსაკუთრებით მუსულმანთა და სომხებს შორის. ოსმალეთის აგენტების მუშაობამ და მემამულეთა ბოროტმა ხელმა ნაყოფი გამოიღო. მთავრობა არავის არ უნდა იწამოს. მისი არსებობა თითქოს ყველას მიავიწყდა. თვითეული ჯგუფი, ყოველი ქალაქი, სოფელი, კუთხე, თავის ნება-სურვილის თანახმათ მოქმედებს და სჭრის ყველა მიმდინარე საკითხებს. ვისაც სურს ომს უცხადებს მეზობელ კუთხეს, მეზობელ სოფელს, ვისაც სურს გზებს კრავს, გამვლელ-გამომვლელთ ჩხრეკს და ატუსაღებს. ერთი სიტყვით ანარქიამ, უთავბოლობამ უკიდურეს წერტილს მიაღწია.

ამ ქაოსის წიაღში იბადება და ინასკვება საშინელი მომავალი მთელი ამიერ-კავკასიის, თუ მას საწინააღმდეგო ძალა არ გაუჩნდა და წესიერების აღდგენა რაიმე რეალურმა, ფიზიკურმა ძალამ არ იზრუნა.

ამიერ-კავკასიის მთავრობა ამ მხრით განკერძოვებულათ ვერაფერს გააკეთებს ძალთა იმ საშინელ ანტოგონიზმის გამო, რომელმაც დღეს იჩინა თავი. ზოგიერთ შეიარაღებულ ძალებზე დაყრდნობა ანარქიის ჩასაქრობათ მრავალ მოსაზრებით ყოვლად მოუხერხებელია. გააგზავნეთ სომხის ჯარი თათრის სოფლების წინააღმდეგ და თქვენ მიიღებთ სასტიკ დარბევას ან და მიეცით საშვალება თათრებს თვითნებობის და თქვენ მიიღებთ ოსმალთა აგენტებისაგან განზრახ, შეგნებულათ მოწყობილ პროვოკაციას, რომელიც შეფარდებულია სამხედრო მოქმედებასთან და მიზნათ ისახავს გარეშე მტრის შემოსევას ხელი შეუწყოს.

ასეთ პირობებში ერთათ ერთი ძალა, რომელსაც შეუძლია წესიერებისთვის იზრუნოს, არის რევოლიუციური დემოკრატია, ინტერნაციონალური დემოკრატია, მის ზნეობრივ გავლენას დღეს ვერავინ უარყოფს. თვით შეუგნებელი მასაც კი უწევს მას ანგარიშს. მართალია თათარ სომეხთა შეტაკებებში ქართველ ელემენტსაც შეუძლია მოსაშვალის როლი ითამაშოს, მაგრამ ასეთი ეროვნული ჩარევა, შესაფერ ნაყოფს ვერ გამოიღებს. ჩვენ არა გვაქვს არავითარი საბუთი ვიფიქროთ, რომ ამ ერის წინააღმდეგაც არ ეწევოდენ ისეთსავე მომწამლელ აგიტაციას, როგორც სხვების წინააღმდეგ. ახალციხის ამბები პირიქით გვარწმუნებენ იმაში, რომ ეროვნულ ნიადაგზე შოვინიზმის გაღვივება და ზოოლოგიური ინსტიქტების გაცხოველება მეტათ ადვილია. რაკი ერთა დაპირდაპირების საკითხი დაისმება, დემოკრატიის შეუგნებელი ნაწილი იოლათ ეგება ნაციონალიზმის ანკესზე და თავის კლასობრივ ნიადაგს კარგავს.

ეს კი დაკარგვაა რევოლიუციის ნიადაგის. რევოლიუციის მამოძრავებელი იყო და დარჩება კლასობრივი წინააღმდეგობა, ღრმა სოციალურ რეფორმების საჭიროება. და რევოლიუციურ წესრიგის შენარჩუნებაც მხოლოდ საქმის ამ მხრივ მოვლით შეიძლება. კლასობრივი ნიადაგი აერთებს დემოკრატიას. სოციალური საკითხი გვაძლევს ყოველ ერში იმ შინაგან რევოლიუციურ ძალას, რომელიც დარაჯათ უდგება რევოლიუციას და ერთა შორის მტრობას და შუღლს ომს გამოუცხადებს.

სასაცილოა, როცა ჩვენი ნაციონალისტები მთელ ამიერ-კავკასიის არევდარევას მიჯნების და საზღვრების საკითხს უპირდაპირებენ.

რა შუაშია აქ საზღვრები? განა ბრძოლა გამიჯვნის გარშემო სწარმოებს? არა. ბრძოლა სოციალურათ გაბატონებულ და დამორჩილებულ კლასთა შორის ტრიალებს, და გაბატონებულთ სურთ ეს ბრძოლა ეროვნულ ნიადაგზე გადაიტანონ, რადგან ეს ნიადაგი შესაძლებლათ ხდის დემოკრატიის მასის არევდარევას და შეტაკებების გამოწვევას.

ჩვენ უნდა გადაჭრით ვეწინააღმდეგოთ ასეთ პოლიტიკას. მხოლოდ დემოკრატიის გაერთიანებას შეუძლია გარეშე და შინაური მოღალატეების ალაგმვა, მხოლოდ მას შესწევს ძალა რევოლიუციურ წესიერების აღსადგენათ და განსამტკიცებლათ.

მხოლოდ დემოკრატია დაუდებს საზღვარს ერთა შორის გამწვავებას.

და მთელ რევოლიუციურ ენერგიას მიმართავს იმ კლასების და ჯგუფების წინააღმდეგ, რომელნიც იყვნენ და დარჩებიან ხალხის მტრებათ, სანამ პირში სული უდგიათ.

## სამშობლოს დაცვა

გაბატონებულ კლასებს მუდამ პირზე აკერია სამშობლოს დაცვა. ისე სიტყვას არ იტყვიან, ენას არ მოაბრუნებენ, რომ სამშობლო არ ახსენონ.

მაგრამ არის ორი სამშობლო. სამშობლო, რომელიც ერთს ყველაფერს აძლევს, დიდობას უწევს, ხოლო მეორეს მონურ უღელში აბამს, ადამიანურ ღირსებას ართმევს. ასეთი იყო ხალხის უმრავლესობით სამშობლო ბატონ-ყმობის დროს, ასეთი იყო ის ბატონყმობის შემდეგაც დიდ რევოლიუციამდე. გაბატონებული კლასებიც აღმერთებდენ ასეთს სამშობლოს და ხოტბას ასხამდენ, მის სახელს ლექსებს უძღვნიდენ. და ყველას, ვინც გაბატონებულ კლასებს ძალმომრეობას ებრძოდა, მოღალატეთ თვლიდენ, ხალხის მტრებათ აცხადებდენ.

ხალხი კმაყოფილი არ იყო გაბატონებულ კლასების, ხალხს არსებითად სამშობლო არ ჰქონდა, მაგრამ ის არასოდეს არ წამოგებია გაბატონებულ კლასების ანკესზე. ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ხალხს სამშობლოსთვის ეღალატოს. გამოცდილება და საღი აღლო ეუბნებოდა მას, რომ საჭიროა გაბატონებულ კლასების ალაგმვა, მაგრამ ქვეყნის დაცვაზე ხალხს არასოდეს ხელი არ აუღია.

სულ სხვაა გაბატონებულ კლასების მოქმედება, მათი სურვილი. ისინი აღმერთებენ სამშობლოს მანამდის, სანამ თითონ ბატონობენ. საფრანგეთის ერთმა გამოჩენილმა გვირგვინოსანმა სთქვა ერთხელ—სახელმწიფო მე თითონ ვარო. გაბატონებული კლასებიც თავის თავს სამშობლოთ სთვლიან. ჩვენს შემდეგ თუნდაც წარღვნამ წალეკოს ქვეყანაო.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ შეარყია გაბატონებულ კლასების ძლიერება, მან აატორიაქა ძველი სამშობლოს საძირკველი და ახალ სამშობლოს ავებას შეუდგა. რევოლიუცია სასტიკია, მაგრამ უაღრეს სამართლიანობას იჩენს: ის ლამობს უთანასწორობა მოსპოს და ყველა მოქალაქეს ადამიანურ ცხოვრების პირობები მოუპოვოს. რევოლიუცია წინააღმდეგია შურის ძიების და ძველი ანგარიშების გასწორების, ის მხოლოდ უსამართლობას ებრძვის. ამიტომ ძველი ბატონი და მტარვალიც ისევე სარგებლობს რევოლიუციის მფარველობით, როგორც ყოფილი ყმა, თუ რასაკვირველია ის თავის კერძო ინტერესების დავიწყებას შესძლებს.

მაგრამ, საუბედუროთ, ისტორია მეორდება და მეორდება ისე, რომ მისი გაკვეთილებით ვერ სარგებლობენ, ჭკუას ვერ სწავლობენ. გაბატონებული კლასები არა თუ არ სთმობენ თავიანთ უპირატესობას, პირიქით ხშირათ მზათ არიან ქვეყანა და სამშობლო თავის კლასობრივ ვიწრო ინტერესებს ანაცვალონ. დღეს დემოკრატია განსაკუთრებით მძიმე პირობებშია ჩავარდნილი. ბალშევიკურმა ანარქიამ დააუძლურა ჩვენი მოკავშირე და ზურგის გამმაგრებელი რუსეთის დემოკრატია. ამით სარგებლობს გარეშე მტერი—ოსმალეთი და ჩვენი ქვეყნის გულში შემოჭრას ლამობს. დემოკრატიას, ხალხს არ შეუძლია თავის თავზე უარი სთქვას, მონობის უღელი დაიდგას, ამიტომ ის მთელი თავისი ძალ-ღონით შეებრძოლება გარეშე მტერს. და ვინც ამაში ხელს შეუშლის, დემოკრატია მას სასტიკათ დასჯის.

საფრანგეთის ხალხმა მეფეს და დიდებულებს თავები დააყრევინა ქვეყნის ღალატისთვის.

ჩვენი ხალხი იმ დროინდელ საფრანგეთის დემოკრატიაზე გაცილებით უფრო შეგნებულია და ამიტომ მისი მოთმინებაც და სულგძელებაც დიდია, მაგრამ ვინც მას წინ გადაეღობება და განსაცდელში ჩააგდებს, ის მას არ დაზოგავს და სასტიკათ გაუმკლავდება.

რევოლიუცია და სამშობლო განსაცდელშია, დადგა დრო გადაჭრილ მოქმედების და ყოყმანის უკუგდებისა.

ხალხი კეთილი და სულგრძელია, მაგრამ სამართლიანი და სასტიკია.

ერიდეთ ხალხის ღალატს!

## პრესა

არ. ჯაჯანაშვილს მეტათ იოლი სამუშაო აუღია მიწის შესახებ კანონის გარჩევის დროს. იგი არ ჩაკვირვებია კანონის ძირითად აზრს და მას აწერს იმას, რაც თვით მოეხასიათება. კანონის სახელწოდება—„ნორმები მიწის დატოვებისა მემამულეებისთვის“... და მაშასადამე კანონის მთავარი მიზანია გაარკვიოს, თუ რამდენი დარჩეს მემამულეს და რამდენი ჩამოერთვას.

იგი სულაც არ ეხება საკითხს იმის შესახებ, თუ ვის, რამდენი და რა პირობებში უნდა დაურიგდეს. არ ეხება საკითხს მიწათმფლობელობის და სოფლის მეურნეთა მოწყობის შესახებ.

არჩ. ჯაჯანაშვილი კი სწერს:

„ამ ჟამათ ჩვენ გვაინტერესებს.. უფრო ის ძირითადი კითხვები კანონისა, რომლებიც არსებითად სცვლიან მიწათმფლობელობას და მიწითსარგებლობის სურათს ჩვენში“.

და შემდეგ იწყება კრიტიკა ამ მიწათსარგებლობის ფედერალისტურ პრინციპების მიხედვით, მარა სანამ ამ კრიტიკას დაიწყებდა, ხომ სჯობდა სტენოგრაფიულ ანგარიშებს გასცნობოდა მაინც ამ საკითხზე, ან სათაურს მაინც ჩაკვირვებოდა. მაშინ დაინახავდა, რომ მისი ფელეტონი „სახ. საქმეს“ № 195-ში სრულიად უადგილოა და უდროო. იგი ყოველ შემთხვევაში ეხება არა სეიმის მიერ მიღებულ კანონს, არამედ ავტორის საკუთარ ფანტაზიას.

* * *

მეორე ს.-ფედერალისტთა პოლიტიკოსს ასეთი ბრძნული აზრები მოსვლია თავში სოციალდემოკრატების შესახებ:

„მთელი ერთი წლის რევოლიუციის მსვლელობაში ისინი ამ რევოლიუციის გარეშე იდგნენ, მის სიღრმეს და ძარღვის-ცემას ერთხელაც არ დაწვდენ“.

მოდი და ნუ გაგეცინება. თურმე ჩვენ რევოლიუციის გარეშე ვიდექით. ბ. აკ. პ—ვა და მისი თანამოაზრენი კი ალბათ მის შუაგულში ტრიალობდენ და ქმნიდენ... თავის ფანტასტიურ აბდაუბდას.

საკვირველია, რომ ავტორი ასეთ თვალსაჩინო უაზრობის დასაბუთებასაც კი ცდილობს სამი სვეტის სიგრძეზე, ხოლო რედაქცია უბეჭდავს. თუ თავის პრესტიჟი და მკითხველის მოთმინება არ ენაღვლებათ, ქაღალდის და მელანის სიძვირეს მაინც რათ არ უწევენ ანგარიშს?

* * *

„სახალხო საქმე“-ში ბ. ალ. მდივანი წუნობს მთავრობის შემადგენლობას. არც ჩვენ ვთვლით უნაკლულოთ ახალ მთავრობის შემადგენლობას, მაგრამ როცა ჟურნალისტი ერთს და იმავე მოვლენას ორი სხვადასხვა საზომით აფასებს, ეს კარგი ნიშანი არ არის. ბ. ალ. მდივანს მოყავს სოკრატის საუბარი კრიტონთან...

„მითხარ, კრიტონ, სახელმწიფო რომ გასაჭირ მდგომარეობაში და განსაცდელში იყოს, ვის დაუძახებ, ვის მიმართავ“—ეკითხება კრიტონს სოკრატი. კრიტონი დიდი თავის ტეხის შემდეგ უპასუხებს:—ადვოკატს!

მაგრამ რაკი სოკრატი არ დაეთანხმა, კრიტონი დაეკითხება: „მაშ ვის უნდა მივმართოთ“-ო.

— სახელმწიფო მოღვაწეს, მცოდნეს იმისა, რაში მდგომარეობს სახელმწიფოს მართვის ხელოვნება—წყნარათ და სიმტკიცით სთქვა სოკრატმა. კრიტონი გაშტერდა“.

ძნელი გამოსაცნობი არ არის ბ. ალ. მდივნის არაკის დედა-აზრი: ბრძენი სოკრატი—ეს ფედერალისტები, ხოლო გზადაბნეული კრიტონი—მენშევიკებია!

ბ. მდივანს მოყავს ნ. ჟორდანიას შემდეგი სიტყვები—მართველობის სიმძიმე ჩვენი, მენშევიკების ფრაქციას გვაწვება, და დაასკვნის:

„ნოე ჟორდანიას ამ აზრს თუ გავაფართოვებთ, შეიძლება თამამათ ვსთქვათ, რომ მთელი ძალა-უფლება ამიერ-კავკასიაში სოც.-დემოკრატიის მენშევიკების ფრაქციის ხელთ იყო. ეს ფრაქცია გადიქცა ჩვენში მმართველ კლასად. ნებსით თუ უნებლიეთ სხვა მიმართულების და პარტიის წარმომადგენლებს ვერ გუობდენ, ხშირად კიდევაც სდევნიდენ“-ო.

ერთობ თავისებურათ „აფართოვებს“ ბ. ალ. მდივანი ნ. ჟორდანიას აზრს და ამიტომ დასკვნაც შემცდარი გამოყავს. ამის დამამტკიცებელია ის, რომ ჩვენ „დაშნაკცუთიუნის“ და „მუსავატის“ წარმომადგენლებთან ერთად ვმუშაობთ, თუმცა ამ პარტიებს არ ვთვლით რევოლიუციონურ პარტიებათ, რადგან ეს ორი პარტია დღეს სომხის და მუსულმან ერების წარმომადგენელია. თუ ჩვენ ვერ „ვეგუებით“ ფედერალისტებს, ეს იმიტომ, რომ ცხოვრებაში მათ არავითარი რეალური ძალა არ აქვთ, ქართველი ხალხი მათ არ სცნობს. ეს ჩვენი ბრალი არ არის. მხოლოდ ჩვენ ის გვიკვირს, რომ როცა ბ. მესხიშვილი იყო სამინისტროში, ფედერალისტებს კრინტიც არ დაუძრავთ მის ადვოკატობაზე. ამას სხვათა შორის ვამბობთ. რაც ჟორდანიამ სთქვა, ეს იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ მენშევიკები წარმოადგენენ შეგნებულ დემოკრატიის პარტიას და ამიტომ აწევთ მათ მართველობის მთელი სიმძიმე. სხვა ყველანი, მათ შორის ფედერალისტებიც, დემოკრატიის წინააღმდეგ მიდიან.

„საქართველო“ ჩვენი პოლიტიკურ მოქმედების გეგმას არჩევს და დარწმუნებულია, რომ ჩვენ გავბალშევიკდით. ეს ჩვენ არ გვიკვირს, რადგან ყველა მემამულე გულწრფელათ არის დარწმუნებული, რომ მიწების ჩამორთმევაც ბალშევიკობაა. ჩვენ ეს არ გვაშინებს, როგორც არ გვაშინებს ის, რომ „საქართველო“ იაკობინელებს გვადარებს. საჭიროების დროს ჩვენ ყოველგვარ ზომას მივმართავთ კონტრ-რევოლიუციონერების ასალაგმავათ და რევოლიუციის გადასარჩენათ.

„საქართველო“-ს კი გონია ვითომ ჩვენ სეიმს და საქართველოს არ არსებულ დამფუძნებელ კრებასაც კი ვებრძვით, ის სწერს:

„სხვას, რომ ასეთი რამ ქადაგება დაეწყო ამიერ-კავკასიის „წარმომადგენლობითი“ ორგანოების წინააღმდეგ, „ერთობა“ ქვეყანას აიკლებდა—ეს პროვოკაცია, კონტრ რევოლიუცია, რევოლიუციონურ ორგანიზაციების წინააღმდეგ აჯანყება და ამბოხებაო“.

ნამდვილათ რა ვთქვით ჩვენ? ჩვენ ვაღიარეთ რევოლიუციონურ ორგანიზაციების გაძლიერების აუცილებლობა, რომ საჭიროების დროს ზურგი გაუმაგროთ სეიმის მოწინავე ჯგუფს და ამით დავიცოთ მთელი სეიმი. ამნაირათ რევოლიუციონური ორგანიზაციები ჩვენთვის საშვალებაა სეიმის დასაცავათ, „საქართველო“-ს კი აქ ბრძოლა ეჩვენება. არც გასაკვირია: „საქართველო“-ს სურს, რომ სეიმი გაბატონებულ კლასების ყურმოჭრილი მონა იყოს, და ამ ტკბილ ოცნებას კი რევოლიუციონური ორგანიზაციები უქარწყლებენ. ამიტომ ცდილობს ის სახელი გაუტეხოს რევოლიუციონურ ორგანიზაციებს, ამიტომ გვებრძვის ჩვენ, როგორც ამ ორგანიზაციების დამცველებს.

## ირ. წერეთლის სიტყვა

**წარმოთქმული სეიმის 13 მარტის სხდომაზე მენშევიკების ფრაქციის სახელით.**

მოქალაქენო, ხალხის წარმომადგენელნო! მე გამოვდივარ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით, რომელიც სავსებით უჭერს მხარს არსებულ მთავრობას და მის პროგრამას იმისთვის, რომ გამოვარკვიოთ, როგორ უცქერით ჩვენ ახლათ შექმნილ მთავრობას,—მის უმთავრეს მიზნებს და იმ ძალებს, რომლებიც არის ამიერ-კავკასიის დემოკრატიის განკარგულებაში ამ მიზნების განსახორციელებლათ. ჩვენს მთავრობას აქ, სეიმში, ოპოზიცია არა ჰყავს, სეიმი კი წარმომადგენლობაა, ამიერ - კავკასიის მცხოვრებთა, რომელიც თავის წარმომადგენლებს ყველაზე უფრო გაუმჯობესებულ კანონის თანახმათ ირჩევდა. აქ, ამ სახალხო წარმომადგენლობაში, არ არის ცოტათ თუ ბევრათ გავლენიანი ჯგუფი, მცხოვრებთან შეკავშირებული ჯგუფი, რომელსაც შესძლებოდა ამიერ კავკასიის ხალხის წინაშე განეცხადებინა, რომ ამ მთავრობას ისინი დახმარებას არ აღმოუჩენენ და მთელი თავის ძალ-ღონით შეეცდებიან შექმნან საზოგადოებრივ ძალთა სხვაგვარი კომბინაცია, სხვაგვარი

პოლიტიკური პროგრამა. ამ მხრით მთავრობა მეტად ხელსაყრელ მდგომარეობაშია. მაგრამ ჩვენ ვიცით, მოქალაქენო, სეიმის წევრებო, რომ სინამდვილეში მთავრობის მდგომარეობა არც ისე ადვილია, როგორც ამ ფაქტიდან შეიძლება ვინმემ დაინახოს. თუ აქ მთელი ქვეყნის წინაშე არ გაისმის მთავრობისათვის საშინელი ხმა ოპოზიციისა, იქ, ქვეყნის გულში მუშაობენ, ძალები, რომლებიც ნიადაგს აცლიან ამ მთავრობას და დემოკრატიის ყველა საქმეებს. სეიმს არ შეუძლია ამ გარემოებაზე თვალები დახუჭოს. ჩვენ ვიცით, რომ ხლა, როცა მთელი ქვეყანა იმყოფება გარეშე საფრთხის წინაშე და როცა ყველა შეგნებული ელემენტები, ყველა გავლენიანი პარტიები მოუწოდებენ ყველა ძალების შეკრებას ქვეყნისა და რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავათ, ამიერ-კავკასიის თვითეულ ეროვნებათა შორის არის ძალები, რომლებიც სთესავენ შფოთს, არღვევენ დემოკრატიულ რაზმთა მთლიანობის, იწვევენ ანარქიას, რომელიც საუკეთესო ნიადაგია, როგორც დემოკრატიის შინაგან მტრებისათვის, ისე გარეშე დამპყრობთათვის, რომლებიც იმუქრებიან დემოკრატიის ფეხქვეშ გათელვით.

იქ, საქართველოში, საქართველოს სოფლებში და ქალაქებში იმ დროს, როცა ამიერ-კავკასიის დემოკრატია აგროვებს ძალებს და აცხადებს მობილიზაციას იმისთვის, რომ ფაქტიური საფუძველი შექმნას ჩვენი თავისუფალი განვითარებისათვის, ამ დროს არიან ადამიანები, რომლებიც მოუწოდებენ არ შეასრულონ მოქალაქობრივი მოვალეობა; ადამიანები, რომლებიც დიდებულ რევოლიუციონურ ლოზუნგებს ამოფარებულები ეყრდნობიან მცხოვრებთა ზოგიერთ ნაწილების სულმოკლეობას იმიტომ, რომ აქაც რევოლიუციონურ ფრაზების ხანმოკლე ბატონობის შემდეგ გადააქციონ ჩვენი ქვეყანა ისეთივე ნანგრევებათ, როგორ ნანგრევებათაც აქციეს ის ადგილები, სადაც მათ მიაღწიეს ბატონობას. თუ არიან აქ, ამიერკავკასიაში კონტრ-რევოლიუციის ბნელი ძალები, რომლებიც უცდიან დროს, რომ ანგარიში გაუსწორონ ძლევა-მოსილ დემოკრატიას, ჩვენ ვიცით, რომ ერთად ერთი ნიადაგი, რომელიც უხსნის მათ გზას გამარჯვებისაკენ, ეს ანარქია და დაშლა-დარღვევაა, რომელსაც ეყრდნობიან რევოლიუციის უპასუხისმგებლო მომხრენი, რომლებიც თავის თავს უკიდურეს სოციალისტებათ სთვლიან და რომელსაც ეყრდნობა აგრეთვე კიდევ უფრო მეტი უფლებით და უფრო მტკიცე იმედით მიმალული კონტრ-რევოლიუცია, რომელიც გამოვა სცენაზე მაშინ, როცა დადგება შესაფერი დრო და ჩაახრჩობს ამიერ-კავკასიის დემოკრატიას. ამ დროს ანგარიშის გასწორებას შესძლებენ ისინიც, ვინც გარედან ემუქრება ჩვენს ქვეყანას დაღუპვითა და მოხობით.

და ის ძალები, რომლებიც მოქმედობენ საქართველოს სოფლებში და ქალაქებში, ეს ძალებივე მოქმედებენ ამიერ-კავკასიის სხვა ეროვნებათა შორის. როცა ჩვენ ვკითხულობთ გენერალ ანდრანიკას საშინელებით ნაკარნახევ მოხსენებას, რომელიც გვატყობინებს, რომ ჯარი, ამიერ კავკასიის დასაცავათ გაგზავნილი, სტოვებს თავის პოსტებს და თავზარდაცემული გამორბის უკან. როცა ჩვენ ვკითხულობთ, რომ ერევნის გუბერნიაში ჯარები, რომელთა ნაწილი დანიშნულია გარეშე საფრთხესთან საბრძოლველათ, თავის იარაღს მიმართავენ მშვიდობიან მცხოვრებთა წინააღმდეგ თავის მოვალეობის ასრულების მაგივრათ, ასეთი სურათის წინაშე ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ სიბნელისა, ანარქიისა და დაშლის ნიადაგზე თავის ბნელ საქმეებს აკეთებენ ისინი, ვინც უკმაყოფილოა დემოკრატიის მონაპოვარით აქ, კავკასიაში, ყველა ის, ვინც შინ თუ გარეთ ცდილობენ დემოკრატიის საქმის დაღუპვაზე ააგონ თავისი სიძლიერე, თავისი მომავალი ბატონობა.

და როცა ჩვენ ვიცით, რომ მესამე ეროვნებაში,—მუსულმანთა შორის ადგილი აქვს ფაქტებს, რომლების დაშვება დღევანდელ პირობებში შეუძლებელია—გამოსვლა მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც იცავს ჩვენს ქვეყანას და გზავნის ჯარს ჩვენს საზღვრებზე—და როცა ჩვენ ვიცით, რომ არიან ისეთი პირებიც, რომლებიც ხელს უშლიან ამ ჯარის მოძრაობას, აბრკოლებენ მის მიერ თავის მოქალაქობრივ მოვალეობის შესრულებას, როცა ჩვენ ვიცით, რომ ჩნდება ნაციონალური შუღლი და მტრობა და ამ ნიადაგზე ხდება შეტაკება, რომელიც დასამარებას უქადის ამიერ-კავკასიის დემოკრატიის მთელ საქმეს—ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ იქაც მიმალულია ის ოპოზიცია, რომელიც დღის სინათლეზე კი არ უსწორებს თავის ანგარიშებს მთავრობას, არამედ ღამის წყვდიადში აკეთებენ თავის ბნელ საქმეს, რაც ხელსაყრელია რევოლიუციის, როგორც შინაურ, ისე გარეშე მტერთათვის. და ჩვენ, სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ანგარიშს ვუწევთ როგორც იმ ძალას, რომელიც მთელი ძალღონით ცდილობს მთავრობის გამაგრებას, ისე აშკარათ, ერთსულოვნათ და შეგნებულათ მომქმედ თვითეულ ეროვნებათა ელემენტებს.

ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია ისეთი მთავრობის შედგენა, რომელიც თავის შემადგენლობაში გააერთიანებს ყველა ეროვნებათა წარმომადგენლებს, რომლებიც მოქმედობენ დემოკრატიულ მოპოებათა ინტერესების ნიადაგზე ამიერ-კავკასიაში, რომელიც ანგარიშს უწევს ყოველ თავის ნაბიჯს ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობის ინტერესთა თვალსაზრისით. ამ მთავრობისთვის ერთ მთლიან საფუძველის შექმნა და მისი აღჭურვა საგანგებო უფლებებით ამიერ კავკასიის დემოკრატიის დაცვის საქმეში—აი ერთათ ერთი საშუალება, რომლითაც ამიერკავკასიის დემოკრატია შესძლებს თავიდან აიცილოს მოსალოდნელი საფრთხე, და ჩვენ ვფიქრობთ, დიდი დაბრკოლება მთავრობის შექმნის საქმეში, პსიხოლოგიური დაბრკოლება, ძლეულ უნდა იქნას ამიერ-კავკასიის დემოკრატიის მიერ იმ გაკვეთილების შემდეგ, რომელიც მან დაინახა რევოლიუციის ერთი წლის განმავლობაში.

(დასასრული იქნება).

## კავკასიის ფრონტი

14 მარტი.

ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა. სარაყამიშის რაიონში სოფ. ჩიპლახლისა და ბელიუკ-ბაშ-კეისთან (ეს სოფლები სარაყამიშიდან 18 ვერსზეა სამხრეთ-აღმოსავლეთით) ჩვენი ჯარების ნაწილებს შეტაკება ჰქონდათ ადგილობრივ ავაზაკთა ბრბოებთან.

ერევნის გუბერნიაში, არარატის რაიონში აღმოჩენილ იქნენ ქურთთა რაზმები.

ჩვენი მზვერავი რაზმების მიერ დაჭერილი რადიოს თანახმათ ოსმალებს დაუკავებიათ ოლთისი და ჯარები მოიწევენ ყარსისკენ.

## ამიერ-კავკასიის ამბები

ბაქოდან სომეხთა ნაციონალური საბჭოს განყოფილება შემდეგს ატყობინებს ამიერ-კავკასიის მთავრობას და ნაციონალურ საბჭოებს: რადგანაც ორი თვის განმავლობაში მიმოსვლა ბაქოდან თფილისამდე შეწყვეტილი იყო სომხებისათვის, რომლებსაც გზაში ყოველ შევიწროებას და ძალადობას აყენებდენ, ბაქოში ამის გამო რამდენიმე ათასმა შეიარაღებულმა სომხის ჯარისკაცებმა მოიყარეს თავი, რომელნიც სპარსეთის და დასავლეთ ფრონტიდან მოემგზავრებოდენ ამიერ-კავკასიაში. ამდენი შეიარაღებულ ჯარის აქ დგომა ფრიად სახიფათოა. და შესაძლებელია ამას მძიმე შედეგები მოჰყვეს. აგრეთვე გვაქვს ნამდვილი ცნობები, რომ ბაქო-თფილისის გზა დახურულია განგებ, რათა გაძლიერდეს ანარქია და ამით ხელი შეეშალოს ფრონტის დაცვას. ვიღებთ რა მხედველობაში ამ გარემოებას, ბაქოს სომეხთა ნაციონალურ საბჭოს განყოფილება, მოგმართავთ თხოვნით მიიღოთ ყოველივე ზომები, რათა მატარებლების მიმოსვლა უზრუნველყოფილი გახდეს. ეს აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, როგორც აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიისთვის, ისე მთელი ჩვენი მხრის დაცვისათვის.

---

**აჯამეთი.** (დეპეშა). გასული წლის სექტემბერში გადაწყვეტილების სისრულეში მოუყვანლობა, რომლის ძალითაც სიმონეთის მცხოვრებთ უნდა გადასცემოდა აჯამეთში მდებარე 377 ქცევა მიწა, გლეხები აღელვა. გლეხები ამ საქმის გაჭიანურების მიზეზათ ანანოვის აგენტების მოქმედებას ასახელებენ, რომელთაც სხვადასხვა გვარი პროვოკაციების საშვალებით შესძლეს მეზობელ სოფელთა ბნელი ხალხის ამხედრება წვრილ მესაკუთრე სიმონეთლების წინააღმდეგ. უკეთუ ზემოაღნიშნული მიწები გლეხებს არ გადაეცემა დროზე, მოსალოდნელია ამას არა სასურველი შედეგი მოჰყვეს.

რწმუნებული პრაპ. ნიკოლაძე.

## ახალი ამბები

**აღმასრულებელი კომიტეტი.** 14 მარტს მოხდა თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ახლათ არჩეულ აღმასრულებელ კომიტეტის პირველი სხდომა ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. აირჩიეს ახალი პრეზიდიუმი. თავმჯდომარეთ ერთხმათ იქნა არჩეული ნოე ჟორდანია. თავმჯდომარის ამხანაგებათ—გერასიმე მახარაძე, ან. ჭიაბერაშვილი და ი. ქარცივაძე. მდივნებათ: მუხარინსკი, ვ. ჟღენტი და გ. ცინცაძე. მუშათა სასადილოს გამგეთ ი. ბადრიძე.

◆ **სადახლოში დაჭრილი** წითელი გვარდიელები მოათავსეს 51 ლაზარეთში. მათ შორის მძიმედ არიან დაჭრილები: ვარლამ ჭანტურიშვილი და რემანოზ გერმანოზოვი. მსუბუქათ დაჭრილები არიან: ნიკოლოზ კუხალაშვილი, დავით მამაჯანოვი, ალექსანდრე ძამამია, ალექსანდრე სვანიშვილი, ვანო ჩაგუნიძე, ვანო სიმონიშვილი და ნოე მამალაძე.

◆ **გურიის საგანგებო რაზმიდან** სად. სადახლოში შეტაკების დროს მძიმეთ დაიჭრა გურიის საგანგებო რაზმის ერთი საუკეთესო წევრთაგანი, ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ვარლამ ჭანტურიშვილი (ვ. ოფიშტიელი). მოთავსებულია ლაზარეთ № 51-ში. გურიის რაზმიდან დაჭრილია კიდევ შემდეგი პირები: დუმბაძე, მამალაძე, სიმონიშვილი, ესენი დაჭრილია მსუბუქად. გაკაწრულია პორუჩიკი ორაგველიძე.

◆ **საქართველოს ეროვნული საბჭოს** კრება შესდგება კვირას, 18 მარტს შვადღის 12 საათზე. დღის წესრიგი: ჩვენი საერთო მდგომარეობა; სექციები; მიმდინარე საკითხები. კანდიდატებს შეუძლიათ დასწრება.

◆ **გაფიცვა ადელხანოვის ქარხანაში.** 8 მარტს ადელხანოვის ქარხნის ნაბდის საკეთებელ განყოფილებაში მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. მუშების მოთხოვნილება გადაეცა შემათანხმებელ სასამართლოს, რომლის დადგენილებამაც არ დააკმაყოფილა მუშები და გაფიცვა გრძელდებოდა. გაფიცვა შეწყვეტილ იქნა შრომის სამინისტროს წარმომადგენელის მიერ, რომელმაც განიხილა მუშების მოთხოვნილება. მუშები მოითხოვდენ 60 პროც. მოემატებინათ ჯამაგირებისთვის. ეს საკითხი გადაეცა მომრიგებელ სასამართლოს, მუშებმა აღუთქვეს მუშაობის განახლება. 12 მარტს ქარხანაში მუშაობა განახლდა.

◆ **თავდაცვის შტაბის განკარგულებით** ქუჩაში სროლისათვის ორი თვით ციხე მიუსაჯეს მე-4 კომ. მილიციონერ არამას აბრამიანცს, ამავე დანაშაულობისთვის ციხე მიუსაჯეს რაზმელ ლავრენტი აწკანურაშვილს; ჯარისკაც არშალუის პეტროსიანს და ავეტის პეტროსიანს ქუჩაში სროლისათვის პირველს მიუსაჯეს ციხე 6 თვით, მეორეს სამი თვით.

◆ **მთავრობის განკარგულებით** ქალაქს სახელმწიფო ბანკიდან ფული მიეცემა სურსათის სასყიდლათ და პურის ხარჯების დასაფარავათ.

◆ **დაკარგული ბავშვი.** 12 წლის ბავშვი ალექსი ავალიანი, რომელიც მუშაობდა თავის ასლან ავალიანთან 7 მარტს სადღაც წავიდა და მას შემდეგ არაფერი იციან. თუ ვინმემ რამე იცის სთხოვენ აცნობონ ასლან ავალიანს, გიმნაზიის ქუჩა № 1.

◆ **მესამე კოლექტივის ბიუროს** ბინაზე მიიღება ხელის მოწერა გაზ. „ბორბა“-ზე, „ერთობა“-ზე და „ფაიქარ“-ზე. აქვე იყიდება ბროშურები და პროგრამები. ბიურო ღიაა ყოველ დღე დილით 10—1 საათამდე.საღ.5—7 ნახ.ს. სამშაბათობით და კვირაობით საღამოობით ბიუროში მეცადინეობა არ არის. ხუთშაბათობით კოლექტივის კრებებია საღამოს 6 საათზე. ბიურო მოთავსებულია კახეთის ქუჩაზე ავლაბარის კლუბის შენობაში.

◆ **ტყიბულის ქვა-ნახშირის** მაღნების მუშების გაფიცვა დასრულდა. მუშები დასთანხმდენ ცენტრის მიერ შემუშავებულ პირობებს. გაფიცულ დღეებისას ნახევარ ფასს მიიღებენ.

◆ **დუშეთი ქალაქთა კავშირში** შევიდა.

◆ **საყოველთაო** მობილიზაცია გამოცხადდა ბათუმში 18—40 წლიანებისა. ბათუმის მცხოვრებნი, გარდა მუსულმანებისა, ვალდებულნი არიან 15 მარტამდე გამოცხადდენ შესაკრებ პუნქტებზე. ვინც დროზე არ გამოცხადდება, დატუსაღებული იქნება და გადაეცემა სამხედრო სარევოლიუციო სასამართლოს. მობილიზაცია არ შეეხება ფოსტა-ტელეგრაფის, სასურსათო კომიტეტის, მილიციის, ქალაქის სანიტარულ დაწესებულებების, რკინის გზის და საავადმყოფოების მოსამსახურეებს.

◆ **ქალაქის გამგეობის** დადგენილებით ქალაქის საავადმყოფოებში ავადმყოფთ დღეში ნაცვლათ 50 კაპ. 1 მ. 50 კაპ. გადაახდევინებენ.

**კრებები და მიტინგები.**

დღეს, 16 მარტს საღამოს 4 საათზე მეექვსე ვაჟთა გიმნაზიის შენობაში (უდელის ქუჩაზე № 3), დანიშნულია სოც.-დემოკ. პარტიის წევრთა ქალთა კრება. შეუძლიანთ დაესწრონ არა წევრებსაც. ვთხოვ ამხანაგ ქალებს ნუ დაიგვიანებენ.

## პროვინციის ქრონიკა

**ცხემლისხიდი** (გურია). 1918 წლის 15 იანვარს შესდგა კრება ცხემლისხიდის მომხმარებელ საზოგადოების „ჩვენი საშვალების“. აღმოჩნდა, რომ შვიდნახევარ თვის განმავლობაში დუქანს რჩება წმინდა მოსაგები 9,101 მან. 19 კაპ. ამ ფულებიდან ათასი მანეთი ჯილდოთ მიეცა გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებს. კრებამ გადასდო ოზურგეთის ახალ გახსნილ გიმნაზიის სასარგებლოთ, 200 მან. უეხობის სამინისტრო სასწავლებელს 300 მან. გამგეობის წევრმა ანტ. ჟღენტმა 300 მან., რომელიც მას კრებამ მისცა ჯილდოთ შესწირა ამავე კოოპერატივს. კრებამ დიდი მადლობა გამოუცხადა.

**ფოთი.** 4 მარტს ამხ. ვლ. ვოიტინსკიმ წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „გაკვეთილები რუსეთის რევოლიუციისა“. დამსწრე საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ლექციის მეორე ნაწილმა, სადაც ლექტორი შეეხო რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას. სამწუხაროთ, მუშები ცოტა დაესწრო ამ ლექციას. როგორც გამოირკვა, მუშებს დროზე ვერ გაუგიათ ლექციის შესახებ. საღამოს ამხ. ვოიტინსკიმ საგანგებოთ მოწვეულ სოც. დემ. კომიტეტის კრებაზე საინტერესო მოხსენება გააკეთა—პარტიულ ცხოვრებიდან და რუსეთის საერთო მდგომარეობის შესახებ. მოხსენების შემდეგ დამსწრე ამხანაგებმა შეკითხვები მისცეს მომხსენებელს. დასასრულ, კრებამ სთხოვა მას დარჩენილიყო აქ კიდევ ერთი დღე და წაეკითხა უფასო ლექცია მუშებისათვის; ამაზე მან თანხმობა განაცხადა. ლექციის შინაარსი რუსულის უცოდინარ მუშებისთვის უნდა გადაეცა ქართულათ ამხ. ლ. კილურაძეს.

— 5 მარტს ადგილობრივ წითელ გვარდიელებმა, ჯარისკაცებმა და აფიცრებმა, ადგილობრივ ბატარეის დახმარებით, დაიკავეს უბრძოლველათ ღამის 10 საათზე ორი სამხედრო პატარა გემი—გამანადგურებლები, თანახმად ბათუმიდან მოსულ ბრძანებისა. აღსანიშნავია ის საერთო მტკიცე სულიერი განწყობილება, რომელიც იყო წითელგვარდიელებსა და ჯარისკაცებში გემების დაკავების დროს.

## თავდაცვა გარეშე მტრისაგან

შინაგან საქმეთა სამინისტროს კომისარმა ცირკულიარით მიმართა ყველა საგუბერნიო და საოლქო კომიტეტებს, სამხედრო უფროს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, გრადონაჩალნიკებს და თფილისის მილიციის უფროსს მიიღონ ზომები, რომ სამშობლოს და რევოლიუციის ასეთ განსაცდელის დროს შევსებულ იქნას ჩვენი ჯარები. ამ მიზნით: 1) ყველა კერძო, საზოგადო და რევოლიუციონურ ორგანიზაციებს, მწარმოებლებს, სავაჭრო დაწესებულებებს და სხვებს ევალებათ დაუყოვნებლივ გაუსწორონ ანგარიში იმ პირთ, რომელნიც ამიერ კავკასიის კომისარიატის 19 იანვრის დეკრეტის თანხმათ სამხედრო სამსახურში უნდა გაიწვიონ. 2) ყველა კომისრებს, მილიციის უფროსებს, ევალებათ სასტიკი თვალყური ადევნონ და ენერგიული ზომები მიიღონ იმათ წინააღმდეგ, ვინც სამხედრო სამსახურს ემალება, მათი შემნახველები პასუხისგებაში მისცენ და მათი საქმე რევოლიუციონურ ტრიბუნალს გადასცენ, ხოლო სადაც ეს არ არის, საგამომძიებლო მთავრობას. 3) სამაზრო და ქალაქის შეღავათის მიმცემი კომიტეტები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგენ იმ პირთა შემოწმებას, რომელნიც დაწესებულებებში და ორგანიზაციებში მუშაობენ. 4) ეს ცირკულიარი ფართოდ უნდა გააცნონ მცხოვრებთ, რომ ვინც თავის მოვალეობის ასრულებაზე უარს იტყვის № 3 დეკრეტის თანახმათ, ერთი წლით დატუსაღებულ იქნებიან.

დაუყოვნებლივ მიეცით სათანადო განკარგულება ამ ცირკულიარის სისრულეში მოსაყვანათ სამაზრო, საუბნო და სოფლის კომიტეტებს.

---

**აჭარაში მიმავალი დელეგაცია ბათუმში.**

დელეგაცია, რომელიც აჭარაში მიემგზავრებოდა, რათა გაერკვია აჭარლებისთვის, რომ ქართველები მათი ძმებია, რომ მშრომელი აჭარელისა და ქართველი დემოკრატიის ინტერესები ერთი და იგივეა, რომ ისტორიული ღალატი იქნებოდა მათი ჩვენ წინააღმდეგ იარაღით გამოლაშქრება, აი ამ დელეგაციამ ბათუმში ინახულა 8 მარტს გურიის მოხალისეთა ჯარის მთელი შემადგენლობა.

გაიმართა დიდი მიტინგი. თავმჯდომარეობდა ამხ. გრიშა მახარაძე.

ყაზარმების წინ, ახლათ ამწვანებული მინდორი გურული მოხალისეებით მოიფინა. თქვენ აქ შეხვდებით ღრმათ მოხუცებულებსაც—წმ. გიორგის ჯვრებით, რომლებსაც იესე გურიელის დროს, გურულ დრუჟინებში უმსახურნიათ და თათრების შემოსევისაგან საქართველო გადაურჩენიათ.

თქვენ აქ ხედავთ უბრალო ჯარისკაცებათ, ვინტოვკებით ხელში, გურიის მოწინავე ამხანაგებს, რომლებსაც წლობით უმუშავნიათ დემოკრატიის საქვეთილდღეოთ და სოციალ-დემოკრატიული, მარქსისტული იდეები ხალხში უვრცელებიათ.

წრეში, რომლის ირგვლივ მწვანეზე მეომრები იყვნენ გაშლილი, შემოდის დელეგაციის წევრი რაფიელ ჩიხლაძე და მიტინგს მიმართავს შემდეგი სიტყვებით: ამიერ-კავკასიის სეიმის სოციელ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით მოგესალმებით ძვირფასო ამხანაგებო! პირველი სიტყვები ტაშის ცემით და ოვაციებით იფარება. ისმის ხმები: „გაუმარჯოს ჩვენს ფრაქციას! ამხ. რაფიელმა ნათლად დაგვიხატა ის საფრთხე, რომელიც მოელის ამიერ კავკასიას და კერძოთ საქართველოს დემოკრატიას აღმოსავლეთის დესპოტიისაგან—ოსმალეთის სახით. არასოდეს,—სთქვა მან, სიტყვებს „სამშობლო და რევოლიუცია განსაცდელშია“ არ ქონია მნიშვნელობა, როგორც დღეს. მაგრამ,როდესაც ვხედავ თქვენს სულიერ განცდას, როდესაც ვხედავ თქვენში გრძნობას სამშობლოს და თავისუფლების დაცვისას, როდესაც ვხედავ, რომ თქვენ გიგრძნიათ განსაცდელის მოახლოვება, მე ღრმადა მწამს, რომ დემოკრატია გამარჯვებული გამოვა, ჩვენ გავიმარჯვებთ. უკანასკნელი სიტყვები მეომრების ერთხმათ აღმოხეთქილმა სიტყვებმა „ჩვენ გავიმარჯვებთ“—დაფარა. ორატორმა დიდხან ილაპარაკა და ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე.

შემდეგ მიტინგმა ზიზღი გამოუცხადა იმათ, ვინც არ დაინდო ჩვენი საუკეთესო ამხანაგი ლევან დადიშქელიანი და ტყვიით გული გაუგმირა.

გრიშა შარაშიძე.

---

**ქუთაისი.** (დეპეშა). ქუთაისის მაზრაში და საერთოდ იმერეთში მობილიზაცია საუცხოვოდ ტარდება. კომისია ძლივს ასწრობს ჩაწერას. სდგება მოხალისეთა რაზმები. აღფრთოვანება ხალხში დიდია. მომავალი ომი ჭეშმარიტად ხალხურ ხასიათს იღებს.

---

**შორაპნის მაზრაში** მობილიზაცია ერთობ უხერხულ დროს და უხერხულათ გამოცხადდა; ჯერ ერთი, რომ აქაც ანარქია საგრძნობლათ იყო ბალშევიკების მიერ წაქეზებულ ჯარისკაცების წყალობით, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ჯარისკაცის მაზარებში გამოხვეული ყოფილ პოლიციელებისა და ქურდ ბაცაცების წყალობით. ხოლო მეორე ისა, რომ მობილიზაცია საჩქაროთ გამოცხადდა და ვერავითარი მზადება ორგანიზაციებმა ვერ მოასწრეს, მობილიზაციის დღე 2 მარტი ისე დადგა, რომ ზოგ სოფლებში არც კი იცოდენ. ყველა ამის გამო პირველათ დანიშნული დღეები ისე გავიდა, რომ არავინ არ გამოცხადებულა.

ამის გამო ჭიათურის და ყვირილის მ. დ. საბჭოებმა საჩქარო მიტინგები გამართეს ყველა საზოგადოებებში, სადაც თავის წარმომადგენლებს გარდა მიიწვიეს პარტიებიც. აქვე ესწრებოდენ კომისარიატის და ეროვნულ საბჭოს რწმუნებულებიც.

მიტინგებმა გასჭრა და 5 მარტიდან ხალხმა დაიწყო მოსვლა. არ მოდიოდენ ზოგიერთი საზოგადოებიდან, სადაც ბალშევიკათ წოდებული თოფიანი ბრბოები ხალხს პირდაპირ აშინებდენ. საბჭოებმა აქ დატუსაღებას მიყვეს ხელი და ხალხი, ბრბოს მოშორების შემდეგ, დროშებით წამოვიდა ჭიათურისა და ყვირილისაკენ.

ამავე დროს საბჭოების სახელით და ამხ. გოგიაშვილისა და ზ. გურულის ხელმოწერით გავრცელდა ფურცლები, სადაც 25 წლისაზე მეტიანებს მოუწოდებდენ მოხალისეებათ ჩაწერას „შორაპნის პირველ რევოლიუციონურ ლაშქარს“, რომელიც ქ. ყვირილში დგება გამოცდილ აფიცრების ხელმძღვანელობით. ამავე მოწოდებას იმეორებდენ ორატორები კრებებზედაც, რამაც დიდი ნაყოფი გამოიღო და ბევრი მოხალისე მოვიდა განსაკუთრებით ყოფილი ჯარისკაცებიდან.

მოხალისეებმა მხოლოდ არ მოისურვეს ყვირილაში ცალკე რაზმში ჩაეწერა, არამედ უმჯობესათ სცნეს მისსავე სოფლის ახალგაზდებს გაყოლოდენ თან.

ჭიათურელი.

## საზავო მოლაპარაკება ტრაპიზონში

(ოქმებიდან).

ამიერ-კავკასიის დელეგაციას რაუფბეიმ შემდეგი პასუხი გასცა:

„ოტომანის საიმპერატორო დელეგაციამ დიდის ყურადღებით განიხილა ამიერ-კავკასიის დელეგაციის 1918 წლის 18 მარტის დეკლარაცია და მოვალედ სთვლის მუხლობრივ უპასუხოს აღნიშნულ დეკლარაციას და შემდეგი მოსაზრებები გამოსთქვას:

1) უცნობი არ უნდა იყოს ამიერ-კავკასიის დელეგაციისთვის, რის თანახმად საერთაშორისო საჯარო უფლებისა, შინაურ არეულობას ქვეყანაში მთავრობის წინააღმდეგ და გაჩაღებულ სამოქალაქო ომს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს განსაკუთრებით საგარეო ურთიერთობის თვალსაზრისით, ხსენებული მთავრობის იურიდიულ მდგომარეობაზე იმ დრომდე, ვიდრე არეულობა და სამოქალაქო ომი არ აიძულებს მას (ე. ი. მთავრობისას) დაემხოს და სხვა ძალა-უფლებას დაუთმოს ადგილი.

ამ პრინციპით რომ მივუდგეთ რუსეთში მომხდარ შინაურ ცვლილებებს, შეგვიძლია შემდეგი დავასკვნათ: შინაურმა აჯანყებამ, რომელიც მაშინ გაჩაღდა, როდესაც რუსეთში მეფე ბატონობდა, დაამხო მეფის მთავრობა და შესცვალა ის ლვოვ-კერენსკის მთავრობით. უკანასკნელის დამხობის შემდეგ, რაც შედეგი იყო ლენინის ხელმძღვანელობით წარმოებულ რევოლიუციონურ მოძრაობისა,—ეხლანდელმა მთავრობამ—ფაქტისა და უფლების ძალით, დაიკავა მისი ადგილი. რაც შეეხება დამფუძნებელ კრების გარეკვას იმ პირობებში, რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობს, აქ შეიძლება ჩვენ ცოტად თუ ბევრად საინტერესო მოვლენასთან გვქონდა საქმე, რაც ზედმეტი საბუთია იმისა, თუ რამდენად ძლიერია ეს მთავრობა.

ამის გამო წარმოებულ სარევოლიუციო მოძრაობას არავითარი გავლენა არ აქვს საგარეო ურთიერთობაზე, რამდენადაც ის გამარჯვებით არ დამთავრდება და რამდენადაც რომელიმე ნაწილი ქვეყნისა არ გამოეყო სრულებით მას, არ დასრულდა პროცესი თავის შექმნისა, თანახმად საერთაშორისო უფლებისა, და დამოუკიდებლად არ იქნა ცნობილი სხვა სახელმწიფოების მიერ. აქედან თავის თავად ცხადია, რომ ზემოაღნიშნულ პირობების შეუსრულებლად, ყოველი აქტი და ტრაქტატი, რუსეთის აწინდელი მთავრობის მიერ დადებული, ძალაშია იურიდიულის თვალსაზრისით და სავალდებულო რუსეთის ყოველი ნაწილისათვის.

2) როგორც უკვე განაცხადა ოტომანის საიმპერატორო დელეგაციამ, მისი უდიდებულესობის მთავრობა რუსეთთან ზავის შეკვრამდე გაეცნო საგანგებო სახელმწიფოს შექმნის საქმეს ამიერ-კავკასიაში და მიმართა უკანასკნელს საზავო წინადადებით, მაგრამ ამ წინადადებას არავითარი იურიდიული ძალა არა აქვს, რამდენადაც დაწყებული მოლაპარაკება არ მთავრდება და რამდენადაც ამ მთავრობას ოფიციალურად არ აღიარებს ოტომანის საიმპერატორო მთავრობა.

3) ოტომანის საიმპერატორო მთავრობა ფიქრობს, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობის განცხადება მისი დამოუკიდებლობის შესახებ—ამ დამოუკიდებლობას ის აფუძნებს ზემოაღნიშნულ წინადადებაზე, რომელიც მხოლოდ აბსტრაქტიული დაპირებაა,—რომ ეს განცხადება მიუღებელია იმის გამო, რომ ოთხთა კავშირის წინადადება ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ, ამა თუ იმ მოსაზრების გამო ამიერ-კავკასიის მთავრობამ არ მიიღო, ხოლო ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა არ იქნა აღიარებული ცენტრალურ სახელმწიფოთა და ამიერ-კავკასიის ხელშეკრულებით, მზგავსად იმ ხელშეკრულებისა, რომელიც დადებულ იქნა უკრაინასთან.

4) ოტომანის საიმპერატორო დელეგაციას პატივი აქვს განაცხადოს, რომ 10 თებერვლის დეპეშის შინაარსს, რომელიც მხოლოდ აბსტრაქტიული წინადადება იყო, ექნებოდა ძალა, როგორც სხვებს, ფორმალური ხელშეკრულებით რომ ყოფილიყო დამტკიცებული. მოლაპარაკების დაწყებას რომ თავისთავად ჰქონდეს ფორმალური ძალა, მაშინ პოლიტიკურ ხელშეკრულებებში, რომელიც ახალი სახელმწიფოების შექმნის დროს იწერება, არ მოათავსებდენ საგანგებო მუხლებს, რომელიც ეხება ამ სახელმწიფოების დამოუკიდებლობის აღიარებას.

5) ოტომანის საიმპერატორო დელეგაცია ფიქრობს, რომ არავითარი იურიდიული ძალა არა აქვს შექმნის პროცესში მყოფ იმ სახელმწიფოებრივი ორგანიზმის პროტესტს, რომელიც ჯერ არ შესულა სახელმწიფოთა რიცხვში, ხელშეკრულობის სავალდებულო ხასიათის შესახებ, რომელიც ინტერნაციონალურ აქტს წარმოადგენს არავითარი იურიდიული ძალა არ აქვს ასეთ პროტესტს, სულ ერთია, ხელშეკრულობის მოწერის წინ იქნება ეს პროტესტი, თუ მის შემდეგ.

ამის გარდა აუცილებლათ უნდა აღინიშნოს ის, რომ რადგან ინტერნაციონალური აქტები იურიდიულად განუყოფელ მთლიანს შეადგენენ, მაშასადამე, შეუძლებელია ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაში უარყოთ ის ნაწილი, რომელიც კავკასიას შეეხება, ტრაქტატის დანარჩენ ნაწილებს.

6) ოტომანის საიმპერატორო დელეგაციას მიუღებლათ მიაჩნია ის დასკვნა, რომელიც ამიერ-კავკასიის დელეგაციამ გამოიტანა თავისი დეკლარაციის მეექვსე მუხლში, რადგან ეხლანდელ მოლაპარაკებას სხვა მიზანი არაფერი არა აქვს გარდა საეკონომიო და საკომერციო ურთიერთობისა და მათი პრაქტიკული და ტეხნიკური დეტალების შემუშავებისა, რაც ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობის გარეშე დარჩა: ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ამ ხელშეკრულობას მნიშვნელობა ეკარგება.

ოტომანის საიმპერატორო დელეგაცია ემყარება რა ყველა ამ მოსაზრებას, კვლავ ამტკიცებს, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება, წინააღმდეგ ამიერ-კავკასიის დელეგაციის აზრისა სავალდებულოა.

ოტომანის საიმპერატორო დელეგაცია სურვილს გამოსთქვამს, რომ ამიერ-კავკასიამ გამოაცხადოს დამოუკიდებლობა, ვიდრე დაწყებული მოლაპარაკება სა-

ბოლოო ხასიათს მიიღებდეს და იმ შედეგებამდე მიგვიყვანდეს, რომლითაც ასე ესწრაფის ორივე მხარე".

მეხუთე სხდომაზე აკ. ჩხენკელმა წაიკითხა ამიერ-კავკასიის დელეგაციის პასუხი ოტომანის დელეგაციის 7 მარტის დეკლარაციაზე.

„ოტომანის დელეგაციის 1917 წ. 7 მარტის დეკლარაციის შესახებ ამიერ-კავკასიის დელეგაციას პატივი აქვს შემდეგი განაცხადოს:

ამიერ-კავკასიის დელეგაცია ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობის უფლებიანობისა და ვალდებულობის შესახებ ძველ აზრს ადგას.

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ, ამიერ-კავკასიის დელეგაციას აქვს პატივი აცნობოს ოტომანის დელეგაციას, რომ ამიერ-კავკ. სეიმმა ამა წლის 7 მარტის სხდომაზე დაადგინა: „სეიმმა, განიხილა, რომ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკათ გამოცხადების საკითხი, ერთგვარ პირობებში პრინციპიალურათ შესაძლებლად სცნო ამ საკითხის დადებითად გადაჭრა და სპეციალურ კომისიას ანდობს მის შემუშავებას ახლო მომავალში".

ამიერ-კავკასიის დელეგაციას საფუძველი აქვს იფიქროს, რომ სეიმის დადგენილებაში მოხსენებული „ერთგვარი პირობები" პირდაპირ არის დაკავშირებული მტკიცე ზავის შეკვრასთან ოტომანის და ამიერ-კავკასიის მთავრობებს შორის ორივესათვის მისაღებ საფუძველზე.

თანახმათ ამ.-კავკ. სეიმის 12 მარტის დადგენილებისა, ეს საფუძვლები შემდეგია:

1. ამ.-კავკ. სეიმი დამყარებულ პირობებში თავის თავს სრულუფლებიანად სცნობს შეკრას ზავი ოსმალეთთან.

2. ამ.-კავკ. სეიმმა, შეუდგა—რა საზოგადო მოლაპარაკებას მიზნათ დაისახა საბოლოო ზავი შეკრას ოსმალეთთან.

3. საზავო ხელშეკრულებას საფუძვლად უნდა დაედოს რუსეთ-ოსმალეთის სახელმწიფოებრივი საზღვრების აღდგენა, 1914 წელს ომის გამოცხადებამდე რომ არსებობდა.

4. დელეგაცია ეცდება თვითგამორკვევის უფლება მოიპოვოს აღმოსავლეთ ანატოლიის ერებისათვის, კერძოთ ოსმალეთის სომხეთის ავტონომიისათვის ოსმალეთის სახელმწიფოებრივობის ფარგლებში.

**შენიშვნა** პირველ მუხლის შესახებ: ამიერ-კავკასიის დელეგაცია საჭიროთ სთვლის გაიმეოროს თავისი 5 მარტის განცხადება იმის შესახებ, რომ საზავო ხელშეკრულობის რატიფიკაციის დროს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფო შეასრულებს ყველა იმ ფორმალობას, რასაც საერთაშორისო უფლება მოითხოვს.

ამიერ-კავკასიის დელეგაციას იმედი აქვს, რომ ამ დებულებათა ერთად განხილვა შეთანხმებამდე მიგვიყვანს და სასურველ მტკიცე ზავსაც შევკრავთ.

ამიერ-კავკ. დელეგაციას რაუხ-ბეი შემდეგ პასუხს აძლევს:

„ჩვენ მოვისმინეთ ამიერ-კავკასიის დელეგაციის დეკლარაცია და ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, იმ პუნქტის გამო, სადაც განზრახვაა ჩვენ შინაურ საქმეებში ჩაერიონ. ჩვენის აზრით ეს დეკლარაცია არ შეესაბამება იმ მიზანს, რომელიც დელეგაციას აქვს და რომელიც მდგომარეობს კეთილმეზობლურ ურთიერთობის დამკვიდრების სურვილში.

რადგან წინა მსჯელობით საკმაოთ გამოირკვა საქმის მდგომარეობა, ჩვენ იძულებული ვართ ეს უკანასკნელი წინადადებაც ვაუწყოთ ჩვენს მთავრობას მთავრობას და ამიერ-კავკასიის დელეგაციის თვალსაზრისიც იმ დეკლარაციის შესახებ, რომელსაც ეხლა წაგიკითხავთ და რომელის პასუხსაც ამ მოკლე ხანში მოვითხოვთ:

„ოტომანის საიმპერატორო მთავრობამ შეკრა ზავი რუსეთის რესპუბლიკის მთავრობასთან და დასდო ხელშეკრულება, რომელიც სავალდებულოა მთელი რუსეთის ტერიტორიაზე. ვიღებთ—რა მხედველობაში, რომ კავკასიის მთავრობა იმ დროს არ იყო შემდგარი და მისი ფორმაც გამორკვეული—თუმცა ის თავის მიზნათ ისახავდა რესპუბლიკურ კონფედერაციის შექმნას თვითგამორკვევის უფლებით თვითოეულ ერისათვის, და აგრეთვე იმას, რომ ეს მთავრობა არ იყო ცნობილი და აღიარებული,—ოტომანის მთავრობა ჰფიქრობს, რომ ხსენებულ საზავო ხელშეკრულების დებულებები არც უარყოფილი შეიძლება იქნეს და არც პროტესტის განცხადება შეიძლება მისი მხრით. ოტომანის დელეგაცია გაეცნო იმას, რომ ხსენებული რესპუბლიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ითვლება, სიამოვნებით ეგებება ამ მოვლენას და მზად არის დაიწყოს მასთან მოლაპარაკება მეგობრობის ხელშეკრულების ოტომანის საიმპერატორო მთავრობის და რუსეთის ურთიერთ ვალდებულებას, რადგან უკანასკნელმა აღიარა თავისი ერების მართ თვითგამორკვევის უფლება. ხოლო კავკასიის რესპუბლიკის საბოლოოდ ოფიციალურად აღიარება იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ საგანგებო დებულება იქნება ხელშეკრულებაში, რომელიც დადებული იქნება და უკანასკნელის შესახებ მოლაპარაკების გამართვა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ უარყოფილი იქნება ყოველგვარი პრეტენზიები ბათუმის, არტაანის და ყარსის სანჯაყებზე. სამარი მდგომარეობის გადმოტანა კავკასიაში შეუძლებელია, რადგან რუსეთთან ზავი შეკრულია, ხოლო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება სავალდებულოა იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც ეხლა იქმნება. ამ ხელშეკრულებამ მიანიჭა საიმპერატორო მთავრობას მის მიერ მოპოვებული უფლება და ოტომანის დელეგაცია ჰფიქრობს, რომ კავკასიის დელეგაციას არავითარი უფლება არა აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს, რადგან საერთაშორისო აქტი უფლებასა და ძალას ანიჭებს ოტომანის იმპერიალ ჩაერიოს ახალი წესის დამყარებაში ამ სამ ზემო მოხსენებულ სანჯაყში და ამასთანავე დაავალოს რუსეთს დასცალოს ისინი და საბოლოოდ უარი სთქვას მათზე; ხოლო ოტომანის დელეგაცია აცხადებს, რომ მისი მთავრობა მზათაა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა ამ ტერიტორიისა და კავკასიის ტერიტორიის შორის დამყარდეს შეღავათიანი საეკონომიო პირობები.

## სადახლოს ამბები

თფ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ამხ. გ. ჯუღელმა გააკეთა მოხსენება სადახლოში მომხდარ ამბების შესახებ

სად. სადახლოში—ამბობს მომხსენებელი—მუსულმანებმა ჩაიგდეს ხელში 60 ტყვიის მფრქვეველი, რომელიც ჩვენ გავგზავნეთ ალექსანდროპოლში. ჩვენ გადავსწყვიტეთ ამ მოვლენას შევბრძოლებოდით. განვიზრახეთ 500 წითელ გვარდიელის შეკრება. 500 მაგივრათ 600 გამოცხადდა. სადახლოში მივედით საღამოს 6 საათზე. თან გვახლდა ჯავშნიანი მატარებელი გოგუაძის მეთაურობით. ჩვენ გვაცნობეს, სადახლო შეიარაღებულ მუსულმანთა ხელშიაო. მათ გაეკეთებიათ სანგრები და გამაგრებულიყვენ მაღლობებზე. წინ გავუშვით ჯავშნიანი მატარებელი, რომელსაც მიჰყვა ეშელონი. ჩვენ ჩამოვედით სადგურზე და გავგზავნეთ ამხანაგები ხიდის დასაჭერათ. მათ აუტეხეს სროლა. ჩვენებმაც უპასუხეს. დაიჭრა რამდენიმე კაცი. 11 საათზე ჩვენ ავსტეხეთ სროლა ზარბაზნებიდან და ტყვიისმფრქვეველებიდან. მოწინააღმდეგენი ჩავაჩუმეთ. ღამე დავინახეთ ცეცხლი. დაეწვათ ხიდები. ჩვენ გავეშურეთ ცეცხლის ჩასაქრობათ, მაგრამ სროლა აგვიტეხეს. მოვახერხეთ მხოლოდ დიდი ხიდის ხელში ჩაგდება და დაცვა. დილის 4 საათზე კვლავ აგვიტეხეს სროლა, რომელმაც დღის 1 საათამდე გასტანა. ჩვენ ვუფრთხილდებოდით სოფლებს, საიდანაც გარბოდენ მშვიდობიანი მცხოვრებნი. საერთოთ ვერიდებოდით მსხვერპლს და ვუშენდით ტყვიებს მხოლოდ სანგრებს. 1 საათზე გვაცნობეს, რომ მუსულმანებს სურთ გამოგვიგზავნონ დელეგაცია. ამაზე ადრე სადახლოელებმა მოგვიგზავნეს დელეგაცია და გვთხოვეს პატიება, ყველაფერი ამბალოელების ბრალია, ჩვენც აღშფოთებული ვართ მათი მოქმედებითო. ჩვენ გაუგზავნეთ დელეგაცია მუსულმანებს. მათ სროლა აუტეხეს დელეგაციას, დასჭრეს დელეგაციის წევრი მუსულმანი კარაევი. შემდეგ მათ განაცხადეს, რომ მზათ არიან გამართონ ჩვენთან მოლაპარაკება. მათ მიიღეს ყველა ჩვენი პირობები: აღგვითქვეს ტყვიისმფრქვეველების დაბრუნება, დამნაშავეთა მოცემა და რკინის გზაზე მოძრაობის უზრუნველყოფა. ჩვენ არ ვიცოდით, თუ წითელ გვარდიელები და უმთავრესად ქართველები იყავით, თორემ სროლას არ აგიტეხდითო. მათ განაცხადეს აგრეთვე, რომ მხოლოდ თქვენ გაძლევთ ტყვიისმფრქვეველებს, თორემ სომხის ჯარი რომ მოსულიყო მას არ დავუთმობდითო. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ვმოქმედობთ არა როგორც ქართველები, არამედ როგორც რევოლიუციონერები. ჩვენ ყველას დავსჯით განურჩევლათ ეროვნებისა, ვინც რევოლიუციის წინააღმდეგ წავა. თქვენ თუ სომხურ ეშელონებს დაუშლით ფრონტისკენ მოძრაობას, თქვენც შეგებრძოლებით. დაიწყეს ტყვიის-მფრქვეველების მოტანა. მოიტანეს 50 ცალი. ძარშაბათს დილით შევნიშნეთ, რომ სადახლოსკენ მოდიოდენ ცხენოსანი და ქვეითი შეიარაღებული მუსულმანები. ჩვენ შემოგვიერთდენ სანაინში დარჩენილი წითელ გვარდიელები, მათ გვითხრეს, რომ იმათ უკან მოდის რამდენიმე ათასი სომეხი, რომლებიც ანადგურებენ და სწვავენ მუსულმანთა სოფლებს. ჩვენ წინადადება მივეცით სომხებს შეეჩერებიათ წინსვლა და ხელი აეღოთ მუსულმანთა სოფლების დარბევაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იარაღით დავემუქრეთ. ისინი დაგვთანხმდენ. ამნაირათ, ძალთა მობილიზაცია მოხდა ორივე მხრით. მოსალოდნელი იყო საშინელი ომის დაწყება. ამ დროს მოვიდა თფილისიდან დელეგაცია მაღალოვის მეთაურობით. მუსულმანებმა გვითხრეს, თქვენს წინაშე ჩვენ დამნაშავენი ვართ, მაგრამ რათ მოახდინეს მობილიზაცია სომხებმა ჩვენს წინააღმდეგო! სომხების მეთაურმა ექიმ მანთაშევმა განაცხადა, რომ მობილიზაცია მათ ჩვენ ჩამოსვლამდე მოახდინეს. როცა მუსულმანებმა გაიგეს, რომ ჩვენ ყველას ერთნაირათ ვეპყრობოდით, მათ განაცხადეს,—მზათ ვართ შევასრულოთ ყველა თქვენი მოთხოვნილებები, თუ შეაჩერებთ სომხებსო. ორივე მხრით შეიკრიბა რამდენიმე ათასი კაცი, მაგრამ მათ კარგათ იცოდენ ჩვენი ძალები და დააკმაყოფილეს ჩვენი მოთხოვნილება, გამოაცხადეს დაზავება. ჩვენ გავუგზავნეთ დელეგაცია მუსულმანებს და სომხებს. მე წავედი მუსულმანებთან. განვუცხადე მათ, რომ ჩვენ ყველას ვსჯით, ვინც რევოლიუციის წინააღმდეგ მიდის და ანარქიას ხელს უწყობს. ჩვენთვის სულ ერთია,—იქნება ეს ქართველი, სომეხი თუ მუსულმანი. მაშინ ისინი დაგვთანხმდენ ყველაფერზე. მერე წაგვიყვანეს დამწვარ სოფლების დასათვალიერებლათ. საშინელი სურათია, მთელი სოფლები ფერფლათ არის ქცეული. მუსულმანებმა განაცხადეს,—უნდა აგვინაზღაურონ ზარალიო. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენც განადგურებით და გადაწვით ვუპასუხებთო. მერე წავედით სომეხთა სოფლებში. ყველა შეიარაღებულია ბავშვიდან დაწყებული მოხუცამდე. სომეხ წითელ გვარდიელმა მიმართა მათ სიტყვით. და აქ მეტათ საყურადღებო და მნიშვნელოვანი სურათი ვიხილეთ, სომეხი და მუსულმანი გლეხები გადაეხვივნენ და კოცნა დაუწყეს ერთმანეთს. ეს გულწრფელი მოქმედება იყო. მათ განაცხადეს ჩვენც წინააღმდეგი ვართ ურთიერთ შორის გაჩაღებულ ბრძოლის. იმის მაგივრათ, რომ მინდორში ვიმუშავოთ, სანგრებში გვიხდება დღე და ღამე სხდომა. ცხადია აქ მუშაობს ვიღაცის ბნელი ხელი, რომელიც ერთი მეორეზე ამხედრებს ამ ორ უდანაშაულო ხალხს.

ჩვენ გვინდოდა წამოსვლა, მაგრამ რკინის გზის მოსამსახურეებმა გამოგვიცხადეს, თუ აქ დამცველი რაზმი არ დასტოვეთ, ჩვენც თქვენთან წამოვალთო. ჩვენ დავსტოვეთ იქ საჭირო ძალა.

ჩვენ მოგვიკლეს 2 ამხანაგი, 20-ამდე კაცი დაგვიჭრეს. დაგვიჭრეს ერთი მოწყალების და. საერთოთ წითელგვარდიელებმა დიდი სიმამაცე გამოიჩინეს. ვფიქრობთ, მუსულმანების მხრით ბევრი არ უნდა იყოს მსხვერპლი, ვინაიდან ჩვენ ვცდილობდით არ დაგვეღვარა სისხლი.

## ბალშევიკების ახალ პარტიათ მონათვლა

საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობაზე მოსკოვში ზავის ხელშეკრულობის დადასტურების შემდეგ ბალშევიკებში საკითხი აღიძრა რა ახალი სახელწოდება მიეცათ ბალშევიკების პარტიისთვის.

გადასწყვიტეს ამიერიდან ბალშევიკების პარტიას ეწოდებოდეს „რუსეთის კომუნისტური პარტია" ფრჩხილებში დამატებით („ბალშევიკები"). ამასთან ყრილობამ საჭიროთ დაინახა არსებულ მდგომარეობის თანახმად პარტიამ შესცვალოს თავის პროგრამა; ამისთვის გადასწყვიტა აირჩიოს სპეციალური კომისია, რომელიც შეიმუშავებს პროგრამის მუხლებს.

თუ როგორი იქნება ბალშევიკების მომავალი პროგრამა, ამას გვიჩვენებს ლენინის მიერ შედგენილი პროექტი, რომელიც მან ყრილობას წარუდგინა. ამ პროექტში, სხვათა შორის, ასეთი მუხლებია: საბჭოთა მთავრობის განმტკიცების და განვითარების საქმე სავსებით დაყრდნობილი უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ მუშათა და გლეხთა ორგანიზაციებზე და ამ ორგანიზაციებიდან სრულიად უნდა განიდევნონ სხვა ელემენტები, როგორც მსხვილი, ისე წვრილი ბურჟუაზია; პარლამენტარიზმის გაუქმება, როგორც კანონმდებლობითი მუშაობის აღმასრულებლისგან გაყოფა, კანონმდებლობითი და აღმასრულებითი მუშაობის შეერთება; მართვა გამგეობის კანონმდებლობასთან შეერთება და სხვა.

შემდეგ, ლენინის აზრით, საბჭოს სახელმწიფოს ორგანიზაციისთვის საჭიროა რომ საბჭოს ყველა წევრი ვალდებული იყოს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მუდმივ მუშაობდეს, აგრეთვე ყველა მცხოვრებნი ვალდებული იყვენ შევიდენ საბჭოთა ორგანიზაციებში და იმუშაონ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.

## საბჭოთა სრულიად რუსეთის მეოთხე ყრილობა

საბჭოთა მეოთხე სრულიად რუსეთის ყრილობა გაიხსნა მოსკოვში. ყრილობა გახსნა ბალშევიკ სვერდლოვმა, რომელიც მიესალმა მას საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სახელით. შემდეგ წაიკითხეს ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტის ვილსონის დეპეშა. სვერდლოვმა წამოაყენა ცენტრალურ აღმას. კომიტეტის რეზოლიუცია ამ დეპეშის შესახებ. რეზოლიუციაში ყრილობა მადლობას უძღვნის ამერიკის ხალხს და ჩრდილო ამერიკის და შეერთებულ შტატების მშრომელთა კლასებს ვილსონის პირით რუსეთის ხალხისთვის თანაგრძნობის გამოცხადების გამო ასეთ საზარელ მდგომარეობის დროს. რეზოლიუციას ყრილობა ღებულობს. ირჩევენ პრეზიდიუმს, მენშევიკებიდან პრეზიდიუმში შედის ამხ. ხინჩუკი, მოსკოვის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე.

ზავის შესახებ მოხსენება გააკეთა ჩიჩერინმა. მან დაწვრილებით აღნიშნა ის პირობები, რომელშიაც საბჭოს მთავრობას მოუხდა ზავი შეეკრა გერმანიასთან. აღნიშნა, რომ ზავის შეკვრის შემდეგაც გერმანიამ არ შესწყვიტა თავის ჯარების წინ წამოწევა და დაიჭირა სხვადასხვა ქალაქები. მან დაწვრილებით გააცნო ყრილობას ზავის პირობები და მისი მნიშვნელობა რუსეთისთვის.

ჩიჩერინის მოხსენების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ლენინმა: „რომ სწორეთ გადავსჭრათ საკითხი იმ მძიმე ზავის შესახებ, რომელიც შეჰკრეს საბჭოს მთავრობის წარმომადგენლებმა ბრესტში, საჭიროა გავიგოთ რაში გამოიხატებოდა რევოლიუციის განვითარების განსაკუთრებული თვისება.

ჩვენ განვიცადეთ რევოლიუციის სამი ხანა. პირველი ხანა,—როდესაც რუსეთის მუშათა კლასს, შეგნებულ გლეხობასთან ერთად მხარი დაუჭირა არა მარტო წვრილმა ბურჟუაზიამ, არამედ მსხვილმაც და რევოლიუციამ რამდენიმე დღეში გაანიავა მონარქია. მეორე ხანა იყო ხანა წვრილ ბურჟუაზიის ოცნების, სხვადასხვა პარტიების შეთანხმების, რაც რამდენიმე თვე გრძელდებოდა. ამ ხანაში ხელ ახლა დაიწყო კერენსკის მიერ იმპერიალისტური ომი. ამ ხანაში ჩვენ განვიცადეთ ივნისის შეტევა, განვიცადეთ კორნილოვშჩინა. ამის შემდეგ დადგა მეორე ხანა, ოქტომბრის ხანა, რომელმაც ძალაუფლება რევოლიუციონურ პროლეტარიატს ჩააბარა. ჩვენი რევოლიუცია ბრწყინვალეთ წინ მიდიოდა. რუსეთის ყოველ კუთხეში დაიწყო ექსპლოატატორების, ბურჟუაზიის და მემამულეების წინააღმდეგობის სახით სამოქალაქო ომი. იმ რევოლიუციას, რომელმაც რამდენიმე კვირის სამოქალაქო ომის შემდეგ სრულიად გასტეხა და დასთრგუნა ბურჟუაზია, აღარ შეეძლო იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან ერთათ ყოფნა და აი, დადგა ის ხანა, რომელსაც ასე მწვავეთ ვგრძნობთ, ხანა დამარცხების, როცა ჩვენს წინააღმდეგ წამოვიდა იმპერიალისტურ სახელმწიფოს ჩვენზე ბევრათ უფრო ძლიერი ძალა.

მე კარგათ მესმის, რათ გვაიძულებს ჩვენ ეხლა რუსეთის ბურჟუაზია რევოლიუციონური ბრძოლა დავიწყოთ, როცა ეს შეუძლებელია, ამას მოითხოვს მისი კლასობრივი ინტერესები. მე ვფიქრობ, რომ ეხლა ბურჟუაზია მემარჯვენე ესერებთან, მენშევიკებთან, წერეთლებთან და ჩერნოვებთან ერთათ გაჰკივის რევოლიუციონურ ბრძოლისთვის, რადგან ამას მოითხოვს მათი ინტერესები, რადგან მათ სურთ, რომ საბჭოს მთავრობამ ყალბი ნაბიჯი გადადგას. ის ხალხი, რომლებიც თავიანთ გაზეთების ფურცლებს ავსებენ კონტრ-რევოლიუციონურ წერილებით (ხმები: ყველა დავხუროთ) სამწუხაროთ ყველა არა, მაგრამ დავხურავთ (ტაში), მუდამ გაჰკივიან ამ სამარცხვინო ზავის შესახებ. მესმის ისიც, რომ ამ რევოლიუციონურ ომის მომხრე არის ის ხალხი, რომელიც სიხარულით ხვდება ნემცებს და თავიანთი პაგონებიანი აფიცრები გამოჰყავთ ქუჩებში იმ ადგილებში, რომლებსაც გერმანიის იმპერიალიზმი იჭერს. მე სრულიად არ მიკვირს ასეთმა ხალხმა, ასეთმა ბურჟუაზიამ და შეთანხმებლებმა რევოლიუციონურ ომის შესახებ იქადაგონ და ხალხს მოუწოდონ, რადგან ამით მათ უნდათ ხაფანგში გააბან საბჭოს მთავრობა. ჩვენ კარგათ ვიცნობთ ამ ბურჟუებს და შეთანხმებლებს. ჩვენ ვიცით, რომ უკრაინაში კერენსკიმ, ჩერნოვმა და წერეთელმა დაუმალეს ხალხს, რომ მათ შეჰკრეს ზავი გერმანიის იმპერიალისტებთან და მათი ხიშტების შემწეობით უნდათ უკრაინაში საბჭოს მთავრობის ჩამოგდება. აი რა სურს რუსეთის ბურჟუაზიას!

ეს ზავი ფრიად სამძიმოა და ამცირებს საბჭოს მთავრობას, მაგრამ ჩვენ ვალდებული ვიყავით მაზე ხელი მოგვეწერა, თუ კი მშრომელ მასის ინტერესებს მაღლა ვაყენებთ იმ ბურჟუაზიულ მხედრობაზე, რომელიც ჰაერში ხმალს იქნევს და საომრათ მოგვიწოდებს. ჩვენ გვეუბნებიან, რომ ვუღალატეთ უკრაინას და ფინლიანდიას. სამარცხვინოა, რომ ჩვენ მოვსწყდით ფინლიანდიას, რომელთანაც ეხლა ფორმალური ხელშეკრულება დავდევით. როგორც გინდათ მლანძღეთ და ჩვენ იძულებული ვიყავით ხელი მოგვეწერა ამ სამარცხვინო ზავზე, რადგან ჯარი არ გვყავდა და არ შეგვეძლო მოსულ მტრისთვის წინააღმდეგობა გაგვეწია. რუსეთმა იცის რა არის ომი და რომ ეს ომი გაეგრძელებია იმ იმედით, რომ დღეს არა ხვალ გერმანიაში რევოლიუცია მოხდებოდა,—ეს იქნებოდა თავის მოტყუება.

25 ოქტომბერს ჩვენ აშკარათ ვსთქვით, რომ ვიცავთ სამშობლოს, იმ სამშობლოს, რომლიდანაც გავდევნეთ კერენსკები, ჩერნოვები და სხვები. ჩავახრჩვეთ ბურჟუაზია, თუმცა მთლათ არა, მაგრამ ვისწავლით შემდეგში როგორ მოვუღოთ ბოლო.

ჩვენი საქმე წინ მიდის და ძალას იკრებს. იმპერიალისტები დასუსტდენ. როგორიც უნდა იყოს დღევანდელი დამარცხება, ჩვენ მაინც ვიწყებთ უკან დახევის ტაქტიკას. ეჭვი არ არის, რომ ჩვენკენ არიან შეგნებული მუშები და გლეხობა. ჩვენ შევსძლებთ არა თუ გმირულათ უკან დახევას, არამედ—დავიცდით სანამ საერთაშორისო პროლეტარიატი მოგვეშველებოდეს და მასთან ერთად დავიწყებთ მთელ მსოფლიოს ფარგლებში მეორე სოციალისტურ რევოლიუციას.

ლენინის შემდეგ ლაპარაკობს კამკოვი, მემარცხენე ს. რევოლიუციონერი. ის დაწვრილებით შეეხო ზავის ჩამოგდების პირობებს და სასტიკი კრიტიკა გაუკეთა ლენინის იმ დებულებებს, რომლითაც ის ამართლებდა უკან დახევას და კაპიტულიაციას. ყველასათვის თვალსაჩინოა,—ამბობს დასასრულ კამკოვი,—რომ კაპიტულიაცია და უკან დახევა არის რევოლიუციის დასამარება, პროლეტარიატის და გლეხობის დაღუპვა. რევოლიუციონურ მოძრაობის თვალსაზრისით ჩვენ გაუსწორებელი შეცდომა ჩავიდინეთ: ვინც დაადასტურებს ამ ხელშეკრულებას, ის ჯვარს უსვამს რუსეთის რევოლიუციასო.

**ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობა.**

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობა განიხილა ამ დღეებში სრულიად რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა მეოთხე ყრილობამ მოსკოვში და დაამტკიცა ის.

გერმანიის მიერ წამოყენებულ პირობებს ხმა მისცა 704 დელეგატმა, წინააღმდეგ—201, თავი შეიკავა—11, სრულიად არ მიუცია ხმა—110 კაცს.

გერმანიის მიერ წამოყენებულ პირობებზე დასთანხმდენ მხოლოდ ბალშევიკები, სხვებმა წინააღმდეგ მისცეს ხმა.

მენშევიკებმა და სოციალისტ-რევოლიუციონერებმა დეკლარაცია გამოაქვეყნეს—მოითხოვდენ საზავო ხელშეკრულობის უარყოფას. სოციალ-დემოკრატი მენშევიკები აცხადებენ დეკლარაციაში, რომ ეს ხელშეკრულობა რუსეთს იმპერიალისტური გერმანიის სრულ განკარგულებაში სტოვებს, რაიც მოასწავებს რუსეთის გაყოფვას. ეს ხელშეკრულობა მუშათა მოძრაობის, რევოლიუციის და საერთაშორისო პროლეტარიატის გაყიდვაა. ის ჰყიდის პოლონეთის, ლიტვის და უკრაინის მუშებს. სომხეთის და საქართველოს მცხოვრებთა გაჟლეტას ადასტურებს. რეზოლიუცია წინადადებას იძლევა, რათა ხელშეკრულობა არ იქნას ხელ-მოწერილი, მოეწყოს თავდაცვა ხალხის შეიარაღებით, მოთხოვნილ იქნას სახალხო საბჭოს კომისართა გადაყენება და საგამომძიებლო კომისიის შექმნა, რომელიც გამოიკვლევს იმ მიზეზებს, რომელმაც გამოიწვია თავდაცვის საქმის ასეთი არევ-დარევა და პასუხისგებაში მიეცეს დამნაშავენი. ერთად ერთ გამოსასვლელ გზათ ყრილობას, რეზოლიუციის აზრით, მიაჩნია დამფუძნებელი კრების მოწვევა, მთავრობის შედგენა და საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა.

კავკასიის დელეგაციის მინდობილობით ამხ. ლ. მარტოვმა განაცხადა,—რომ კავკასია არ სცნობს სახალხო კომისართა მიერ დადებულ ხელშეკრულობას და გადაწყვეტილი აქვს ოსმალეთს წინააღმდეგობა გაუწიოსო, კავკასია მოითხოვს უარყოფილ იქნას ზავის პირობები, გადაყენებულ იქნას ახლანდელი მთავრობა და მოწვეულ იქნას დამფუძნებელი კრებაო.

თავის სიტყვაში მარტოვმა აღნიშნა, რომ გარდა ბალშევიკების ფრაქციისა ყველა პარტიები და ფრაქციები წინააღმდეგნი არიან ამ სამარცხვინო ხელშეკრულობაზე ხელის მოწერისო.

მარტოვის სიტყვის დროს თავმჯდომარე ვოლოდარსკიმ მემარჯვენე ნაწილს კრებისას წესიერებისაკენ მოუწოდა. როცა ამის შესახებ სუხანოვმა პროტესტი განაცხადა, თავმჯდომარე ვოლოდარსკიმ დამცველებს ასე მიმართა: „უკეთუ ეს ვაჟბატონი კიდევ განაგრძობს ხმაურობას, მე მოვითხოვ, რომ ის გაყვანილ იქნას აქედანო". სოც.-რევ. ლიხაჩევს ვოლოდარსკიმ სიტყვა წაართვა. ბალშევიკმა რიაზანოვმა პროტესტი განაცხადა სხდომის დარბაზში წითელი გვარდიელების შემოყვანის შესახებ და მათი საშუალებით უკმაყოფილო პირთა გაძევებისა.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის არჩევის დროს ამხ. ლ. მ. ხინჩუკი პრეზიდიუმიდან გავიდა. ამით მან პროტესტი განაცხადა. სუხანოვის წინადადებას, რომ მთავრობას სრული ანგარიში ჩაებარებია ახალი ცენტრალური კომიტეტისთვის დიდის აურზაურით შეხვდა უმრავლესობა და უარჰყვეს ის.

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულობის დამტკიცების შემდეგ მემარცხენე ესერები მთავრობიდან გავიდენ.

ციმბირის საბჭოთა ყრილობამ უარჰყო სამარცხვინო ზავის პირობები. ამ რეზოლიუციას შეუერთდენ იქაური ბალშევიკებიც.

## თფ. წითელი გვარდია სად. სადახლოში

10 მარტს ცნობა მივიღეთ, რომ იმ ვაგონს, რომელშიაც იყო 60 „ლუისის" სისტემის ტყვიისმფრქვეველი ფრონტზე გაგზავნილი სადგურ სადახლოზე თათართა ბრბო დაეცა, აჰყარა ჩვენ 8 გვარდიელს იარაღი და ტყვიისმფრქვეველები გაიტაცაო.

ამ თავხედურმა და ავაზაკურმა ამბავმა მეტათ აღელვა ყველანი. იმ დროს, როდესაც ჩვენ ფრონტის დასაცავათ იარაღსა ვგზავნით გარეშე მტრის წინააღმდეგ, აი ამ დროს აქ ცხვირ წინ, თფილისიდან რაღაც 50 ვერსის მოშორებით ასეთ უმგზავსო საქმეს ჩადიან.

მიუხედავათ სათანადო დოკუმენტებისა, რომლითაც გვარდიელები იყვნენ აღჭურვილნი, იარაღი ავაზაკურათ მაინც მიაქვთ. ეჭვი არ არის, აქ გამოცდილი ხელი მუშაობს. მეთაური უკვე დატყვევებულია და გამოძიება სწარმოებს.

აქ მინდა მკითხველს გავაცნო ის გმირობა, რომელიც თფ. წითელმა გვარდიელებმა გამოიჩინეს.

11 მარტს, ამიერ-კავკასიის კომისარიატის და თფ. აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებით ებრძანა თავდაცვის კომისიას, რომ მსწრაფლი ზომები მიეღო ტყვიის მფრქვეველების აღმოსაჩენათ. ამავე დღეს გაიცა განკარგულება გვარდიის მობილიზაციის შესახებ და 10 საათამდე 600-მდე კაცი მთელი თავის სამხედრო მოწყობილობით მზათ იყო.

მე-4 საათი იყო, რომ ეშელონი თფილისიდან დაიძრა: წინ გაუძღვა ამხ. ალფ. გოგუაძის მეთაურობით ჯავშნიანი მატარებელი, მას მიჰყვა ეშელონი, ხოლო უკან მეორე ჯავშნოსანი.

ამნაირის წესით, ექვსის ნახევარი იქნებოდა, როდესაც შევედით სად. სადახლოში, აბაგასერანში გაგვაფრთხილეს, რომ სადახლოს მარჯვენა მხარეზე, სოფ. ლაბალოს გასწვრივ თხრილებია გაკეთებული და შიგ ოთხი ათასზე მეტი შეიარაღებული თათარია გამაგრებულიო. აქვე ვნახეთ შეშინებული სადახლოს სად. უფროსი და მოკლული ტელეგრაფისტი, რომელიც თათრებს მოეკლათ.

მოკლე ცნობების მიღების შემდეგ მსწრაფლ გავსწიეთ წინ. აი მიუახლოვდით სადგურს, ყველანი გრძნობდენ საქმის სიძნელეს და მზათ იყვენ ბრძოლისათვის.

შევედით სადგურში, არავითარი სულიერი არსება იქ არ იყო. სადგური მიტოვებული იყო ღვთისანაბარათ. გვარდიელები ჩამოვიდენ ვაგონებიდან. ბინდდებოდა, ის იყო მზე ჩავიდა, პატარა სამხედრო თათბირის შემდეგ შევუდექით პოზიციების დაჭერას. ის იყო პატარ-პატარა რაზმები დაიძრა ადგილების დასაჭერათ, რომ ამ დროს მოპირდაპირე მხრიდან, რომელიც გაყოლებულია მდ. ბამბაკის გასწვრივ, აგვიტეხეს საშინელი სროლა. ჩვენ არ ვიყავით თავდაცული, ჯარი იქვე გაწვა, საცა იდგა და დაუწყო სროლითვე პასუხი. სადგურის თავსა და ბოლოს დადგეს ჯავშნიანი მატარებლები და ტყვიის მფრქვეველები ამუშავდა. დადგა ჯოჯოხეთი, ბრძოლა შეიქმნა დაუნდობელი. ჩვენი მდგომარეობა იმით იყო ცუდი, რომ მოწინააღმდეგის ბინადრობა არ ვიცოდით და ისინი კი გვხედავდენ. სროლამ გასტანა საათნახევარს—დიდი მეცადინეობის შემდეგ როგორც იქნა, შევაჩერეთ სროლა. დაიწყეს დაჭრილების ზიდვა.

აგერ საუკეთესო ამხანაგი ალ. ძაძამია მოყავთ დაჭრილი, აგერ მეორე სულ ახალგაზდა ტყვიის მფრქვეველზე მომუშავე ქანტურიშვილი—მძიმეთ დაჭრილია თავში, მესამე—მეოთხე და სხვები. ამ შეტაკებაში სულ დაგვიჭრეს თერთმეტი კაცი, ორის გარდა ყველა მსუბუქათ იყო დაჭრილი სხვათა შორის, ტყვიის ნატეხი მოხვდა ნესტორ კალანდაძეს და გაკაწრა.

სროლის შეწყვეტის შემდეგ მსწრაფლ პოზიციები დავიკავეთ და გავმაგრდით.

უნდა ავღნიშნო ჩვენი მოწყალე დების გმირული მუშაობა—ქ-ნ კაჩაურის მეთაურობით განსაკუთრებით გმირობა გამოიჩინა ამ საქმეში ჯერ გამოუცდელმა ახალგაზდა ეპრაქსია რამიშვილის ქალმა. ვაგონს, სადაც ისინი მუშაობდენ, ხუთი ტყვია მოხვდა, მიუხედავათ ამისა მათ ერთ წუთსაც არ უღალატნიათ თავის მოვალეობისათვის.

ამ ღამეს ლიანდაგის ორთავე მხარეს

შევამჩნიეთ ცეცხლი. გამოირკვა, რომ სამი პატარა ხიდებისთვის ცეცხლი წაეკიდებინათ. ამ რიგათ მოვწყდით როგორც თფილისს, ისე სანაინს, ჩვენ აღმოვჩნდით გარს შემორტყმული და შუაში მომწყვდეულნი. ჩვენ შეგვეშინდა დიდი ხიდის გაფუჭებისა, ამიტომ მთელ ღამეს ჯავშნოსანი მიდი-მოდიოდა დამწვარ ხიდებს შუა. ერთ ამნაირ „გასეირნების“ დროს ძირს ჩამოვედით ხიდის დასათვალიერებლათ, ღამე მთვარიანი იყო და კინაღამ ცელქი ტყვიის მსხვერპლი არ შევიქენით—მოვასწარით ვაგონში უვნებლათ შესვლა.

ღამე არავის დაუძინია. ყველა ფეხზე იდგა, გრძნობდენ, რომ დილით დიდი შეტაკება იყო მოსალოდნელი. გვარდიელები სათრებს ამაგრებდენ და თხრილებს აკეთებდენ.

დაიწყო თუ არ მეხუთე საათი მოწინააღმდეგემ კიდევ პირველმა ასტეხა კანტი-კუნტი სროლა.

საერთოდ ჩვენ ყოველგვარ ზომას ვღებულობდით, რომ ბრძოლა თავიდან აგვეშორებინა და მცხოვრებლებისთვის გვეცნობებინა ჩვენი მისვლის მიზეზი, მაგრამ პირველ ხანებში ეს ყოვლათ შეუძლებელი გახდა..

დილით ადრევე მოგვიკლეს დასაზვერავათ გასული ამხანაგი კანდელაკი, ამავე დღესვე მოგვიკლეს ამხანაგი პეტრე რეზვი. ეს რომ გაიგეს გვარდიელებმა, ყველა შურის ძიებით გაიქლენთა—შეიქნა ყურგამომჭედი სროლა. აქ აშკარათ გამოირკვა მოწინააღმდეგის სიმაგრეების მდებარეობა: თხრილები ორი წყება ჰქონდათ გაკეთებული და საკმაოთ ღრმა. როგორც ბოლოს გამოირკვა, აქ იყვენ მოსულები ყაზახის მაზრიდან და საერთოდ განჯის გუბერნიიდან. სროლა ორივე მხრიდან თანდათან გაცხოველდა, დაიქექეს ზარბაზნებმა, ალაპარაკდენ ტყვიისმფრქვეველები და ყოველივე ეს აირია ერთი მეორეში... ორი საათის სროლის შემდეგ ჩავაჩუმეთ მოწინააღმდეგე...

ჩვენ გვყავდა რამდენიმე დატუსაღებული ადგილობრივი თათარი. ერთი მათგანი შეგვეხვეწა: ოღონდ ნუ მომკლავთ და მე შევატყობინებ იმათ თქვენი მოსვლის მიზანსო. გავატანეთ წერილი და გავგზავნეთ სოფ. სადახლოში. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩდენ თეთრი ბაირაღით; დელეგატები მივიღეთ და აქედან დაიწყო მოლაპარაკება... მაგრამ უბედურება ის იყო, რომ სოფ. ლამბალო, სადაც უმთავრესი ძალა იყო დაბანაკებული, განაგრძობდა ბრძოლას... გავაგზავნეთ დელეგაცია და მათ შორის ამხ. მუსულმანი, რომელიც სპეციალურათ გვყავდა თბილისიდან წაყვანილი, რომელიც გასვლისათანავე დასჭრეს...

დიდი წვალების შემდეგ იქიდანაც მოხერხდა დელეგატების მოყვანა და გაიმართა მოლაპარაკება. ჩვენ წარვუდგინეთ მთავრობის მოთხოვნილება, რომელიც უმთავრესათ სამი მუხლისაგან შესდგებოდა: 1) ყველა ტყვიისმფრქვეველების დაბრუნება; 2) ამ საქმის მომწყობლების ჩაბარება და 3) გარანტიის მოცემა, რომ კვლავ აღარ განმეორდეს ამგვარი რამ. ყველაზე თანხმობა განაცხადეს. მართლაც, დაიწყეს ტყვიისმფრქვეველების ზიდვა და ჩაგვაბარეს. ჩვენ არ ვიცოდით, რომ ქართველებისა იყოო, თორემ არ წავიღებდითო,—გვეუბნებოდენ ისინი.

თფილისიდან გამოგზავნილი მაშველი რაზმი, რომელიც აღარ დაგვჭირდა და რომელსაც პატარა შეტაკება მოსვლოდა სად. სანდარაში, ჩვენთან ერთად დაბრუნდა თფილისში სანდარიდან.

თუ რა სიმხნევე და სიგმირე გამოიჩინეს რკინის გზის მოსამსახურეებმა და განსაკუთრებით სანაინის მუშებმა, ამაზე შემდეგ.

ს. მაისურაძე.

## სოც.-დემ. პარტიაში

ამხანაგების საყურადღებოთ. მე ვიყავი არჩეული მე-8 როტის პარტიულ ორგანიზაციის ხაზინადრათ. ამხანაგების საყურადღებოთ ვაცხადებ შემდეგს: თვითეულ წევრზე იყო ერთდროულათ მოკრებილი თითო მანეთი. 19 ნოემბრის კრების თანახმათ, რომელიც იყო მოწვეული თფილისში გასაგზავნ კაცის ასარჩევათ, რომელსაც ევალებოდა პარტიულ ორგანიზაციის ბეჭედის და საწევრო ბილეთების შეძენა და მასთან ერთი თვის საწევრო გადასახადის ფულის შეტანა თფილისის ცენტრალურ რ. ს. დ. მ. პ. (მენ.) ორგანიზაციაში. კრების მიერ არჩეულმა გიორგი გვაჯანტირაძემ თანახმათ კრების გადაწყვეტილებისა წამოიღო საწევრო გადასახადი ფული 10 მ. 50 კ. დანარჩენი ფულს, რომელიც იყო მოგროვილი პარტიის წევრთა შორის მებარა მე და როცა მე გადამიყვანეს შტაბში, ეს ფული ჩავაბარე ჩემს თანაშემწეს—რომან კიკალეიშვილს სამოცდა თორმეტი მანეთი. მოკლე ხანში ბათალიონი დაიშალა და ჯარისკაცები სამშობლოსაკენ გამოისტუმრეს. ამასთან, რასაკვირველია დაიშლებოდა ჩვენი ორგანიზაციაც. ახლა ვეკითხები ამხანაგ რომან კიკალეიშვილს: ზემო აღნიშნულ ფულს რა ბედი ეწია.

ვარლამ ურუშაძე.

## მუშათა შორის

**თფილისის საქონლის სადგური.** ყველასათვის ცხადია, რომ დღეს ჩვენი ყოფნა არ ყოფნის საკითხი სწყდება.

დღეს ჩვენ დამონავების და ჩამოქვეითების საკითხი გვიდგას წინ. ყველა ვალდებულია ამ საშინელ საბედისწერო მდგომარეობას ანგარიში გაუწიოს—დაიცვას სამშობლო და რევოლიუცია ბარბაროსულ მტრისაგან.

ამნაირი ხანგრძლივი ომი, ძმათა სისხლის ღვრა ისტორიას ბევრი არ ახსოვს.

შინაურმა სამოქალაქო ომმა, რომელსაც ხელი შეუწყო ბოლშევიკების გადასროლიუმა ლოზუნგმა, გაამეფა ძმათა სისხლის ღვრა, გაანიავა მთელი სახელმწიფო. რუსეთი გაყიდეს და მასთან კავკასიაც ზედ დაუმატეს. ქართველი ხალხი ბევრი უბედურების მომსწრეა, მას ბევრი გაჭირვება, ბევრი აწიოკება და განადგურება განუცდია, მაგრამ დღეს მას უსაშინელესი დღე მოელის; ოსმალოს გაბატონება კავკასიაში—ეს ჩვენი დაბეჩავებაა, ჩვენი თავისუფლების გაქრობაა.

ამიტომ ყველა ვალდებულია შეიარაღდეს და ამ საერთო საქმეს,—სამშობლოს და რევოლიუციას სამსახური გაუწიოს.

თფილისის სადგურის მუშები ამ მხრით სხვებისთვის მაგალითის მიმცემნი არიან. სადგურის მოწინავე მუშები შეიარაღდენ და მზათ არიან გაემგზავრონ პოზიციებზე.

საჭიროა გურიის და თფილისის სადგურის მუშების მაგალითს სხვებმაც მიბაძონ.

ამხანაგებო, მუშებო! დღეს გვმართებს ხიფხიზლე, დღეს გვმართებს ვაჟკაცობა, დღეს უნდა დავიცვათ, შევინარჩუნოთ სისხლით მოპოვებული თავისუფლება და ჩვენ შეკავშირებულათ და ერთად გვმართებს სამშობლოს დაცვა მტრისაგან.

მაშ მხნეთ ამხანაგებო! შეიარაღდით და დაიცავით სამშობლო და რევოლიუცია ბარბაროსულ მტრისაგან!

ს ქრისტინეშვილი.

## პროვინცია

**სოფელ უშაფათი** (სამეგრელო). 11 და 12 თებერვალს უშაფათ-ლებოკუჩევის სკოლის დარბაზში შესდგა ადგილობრივი ყოფილ ჯარისკაცთა ყრილობა. ყრილობას დაესწრენ მარტო ჯარისკაცები: ყრილობის მაზანი იყო სიმინდზე და აგრეთვე სხვადასხვა სურსათ-სანოვაგეზე მტკიცე ფასის დადება და ადგილობრივი მართვა-გამგეობის მთელი შემადგენლობის გამოცვლა. სიმინდზე და სხვადასხვა სურსათ-სანოვაგეზე ყრილობამ შემდეგი ნიხრი დააწესა: სიმინდი უნდა გაიყიდოს ხუთ მანეთად ფუთი, ღვინო 10 მანეთიდან 20 მანეთამდე კოკა, მხოლოდ თუ კი ყოფილ ჯარისკაცების ოჯახში აღმოჩნდება გასაყიდი ღვინო, შეუძლიათ გაყიდონ იმ ფასებში, რა ფასებშიაც თვით მოისურვებენ, ესე იგი, ღვინოს ნიხრი მათზე არ ვრცელდება. სიმინდის ჩალა ასი კონა უნდა გაიყიდოს 4 ნახ. მანეთად და სხვა. ბოლოს შეადგინეს თორმეტი კაცისაგან კომისია, რომელმაც უნდა ასწეროს, თუ ვის რამდენი სიმინდი აქვს გასაყიდი და ვის რამდენი დააკლდება. ადგილობრივ მართვა-გამგეობის ყველა ორგანოების გამოცვლის შესახებ შემდეგი მიზეზები წამოაყენეს: ვითომდა ადგილობრივი კომისარი, აღმასრულებელი კომიტეტი, სასურსათო კომიტეტი და სხვა ღებულობდა ქრთამებს, ყრილობამ საჭიროდ სცნო ადგილობრივი მართვა-გამგეობის მთელი შემადგენლობის, მთლათ გადაყენება და ახალის არჩევა.

მეორე დღეს, 13 თებერვალს, შესდგა უშაფათის საზოგადოების საერთო კრება.—განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: არჩევნები, სახალხო მილიცია და სასურსათო საკითხი.

თავმჯდომარემ უპირველეს ყოვლისა გააცნო კრებას ყოფილი ჯარისკაცთა ყრილობის დადგენილებანი და მოითხოვა საზოგადოებისაგან დასტური. კრებამ, სანამ დასტურს დართავდა, მოითხოვა სასურსათო-სანოვაგეზე ნიხრის დადების და ადგილობრივი მართვა-გამგეობისადმი ბრალდებების წამოყენების შესახებ გაემართათ კამათი. სურსათ-სანოვაგეზე ნიხრის დადების შესახებ გაიმართა კამათი. ზოგი ამხანაგები მოითხოვდენ სიმინდზე ნიხრის გადიდებას, ვინაიდან ხუთი მანეთი დღეს ხუთ შაურს უდრისო და ამ ხუთ შაურად ჩვენ დღეს სიმინდს ვერ გავყიდითო და ზოგი კი სულ სხვა აზრს ადგა. ბოლოს ილაპარაკა ამხ. გრ. ჰოჭუამ. შემოიტანა შემდეგი წინადადება: სოფ. უშაფათის საზოგადო კრებამ, მოისმინა რა საკითხი სიმინდზე ნიხრის დადებისა, დაადგინა ჩამოერთვას სიმინდი ყველა იმ პირთ, ვისაც აქვს საყოფზე მეტი და დაურიგდეს იმათ, ვისაც არა აქვს საყოფი. სიმინდი იქნება ჩამორთმეული და დარიგებული უსასყიდლოდ, სესხის სახით, მომავალ მოსავლის აკრეფამდე. ეს რეზოლიუცია თითქმის ერთხმათ იქნა მიღებული, მას ყოფილმა ჯარისკაცებმაც მისცეს ხმა. სხვა სურსათ-სანოვაგეზე ნიხრის დადების შესახებ კრებას არც თავისი რეზოლიუცია გამოუტანია და არც ყოფილ ჯარისკაცთა ყრილობის მიერ შემუშავებული ნიხრი დაუდასტურებია, ისე გადავიდა დღის წესრიგის პირველ კითხვაზე ე. ი. არჩევნებზე. სანამ არჩევნებს შეუდგებოდენ, გაიმართა კამათი ძველი მართვა-გამგეობისადმი წამოყენებული ბრალდებების შესახებ. ყველა ეს ბრალდებები უბრალო ცილის წამება გამოდგა.

კრებამ მართვა-გამგეობის თანამდებობის პირთა არჩევა ყოფილ ჯარისკაცებს მიანდო. ჯარისკაცებსაც ეს უნდოდათ. კრება ხუთი წუთით შესწყდა, რომ ჯარისკაცებს დაესახელებიათ თავიანთ შორის კანდიდატები. კრებას განახლებისას თავმჯდომარემ ჯარისკაცების სახელით შემდეგი განაცხადა: „ჩვენ, ჯარისკაცები, სიმინდის სესხის სახით მიღებაზე უარს ვაცხადებთ, ვინაიდან არც მომავალში გვექნება ჩვენ ჩამოსარჩომი სიმინდი და სესხის გასწორებას ვერ შევსძლებთ, ამიტომ ჩვენ, ჯარისკაცები, გთხოვთ სიმინდზე ნიხრი გავსაზღვროთ 5 მანეთი ფუთი, ან, როგორც ეს ჯარისკაცთა ყრილობამ მიიღო. საზოგადოება ამაზე დასთანხმდა. ამნაირად ოქმში ორი რეზოლიუცია იქნა შეტანილი და ორივენი ძალაში დარჩა. პირველი რეზოლიუციის თანახმად უნდა უსასყიდლოდ სესხის სახით ჩამოერთვას და დაურიგდეთ მცხოვრებთ სიმინდი, ხოლო მეორე რეზოლიუციის თანახმად სიმინდი უნდა გაიყიდოს ყოფილ ჯარისკაცებზე 5 მანეთად ფუთი.

შემდეგ ჯარისკაცებმა წამოაყენეს კანდიდატები ადგილობრივი მართვა-გამგეობისა, რომლებიც ძალით თუ ნებით კრების მიერ დამტკიცებული იქნა. ამნაირათ, მართვა-გამგეობაში აირჩიეს: კომისარიატში ერმილე გაბელია, კომისრათ ილია ქაბურხანია და გრიგორი ხურცია; სასოფლო აღმასრულებელ კომიტეტში: ნიკო შეროზია, სამსონ კორშია, ბეგი გაბელია, ანდრია გოგინავა და ალექსანდრე კოკაია; მათ კანდიდატებათ: შალვა გოგინავა და ბეგლარ ხურცია; სასურსათო კომიტეტში: დავითი კარტოზია, მიხა ბოკუჩავა, პეტრე ხურცია, თომა ლომაია და კოსტა კორშია, ყველა ყოფილი ჯარისკაცები.

რადგან გვიან იყო დანარჩენი თანამდებობის პირთა არჩევნები და მორიგი კითხვები გადაიდო შემდეგი კრებისთვის. კრების დახურვის შემდეგ გავემგზავრეთ სახლისაკენ. არ გაგვივლია სულ ოცი საჟენი, რომ ყოფილ ჯარისკაცებმა ატეხეს სროლა, დიდხანს ისროდენ განუწყვეტლივ.

16 თებერვალს შესდგა ხელ ახლა საზოგადო კრება. კრებას უნდა აერჩია სადგილ-მამულო კომისია, ქ. ახალ-სენაკიდან ჩამოსულმა ამხ. ანდრო ანჯაფარიძემ გააკეთა მოხსენება მიმდინარე მომენტზე, რის შემდეგ გადავიდა დღის წეს-რიგში დასმულ საკითხზე და გააკეთა ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება, გააცნო კრებას სადგილ-მამულო კომისიის მნიშვნელობა, დაახლოვებით მუშაობის გეგმა და მისი შემადგენლობა. კრება მოხსენების მოსმენის შემდეგ შეუდგა არჩევნებს სადგილ-მამულო კომისიაში. კომისიაში არჩეულ იქნა 19 კაცი.

კ. მეტერიისპირელი.

---

**ს. დიღომი.** (თფილისის მაზრა). ამ ერთი კვირის წინეთ საგუბერნიო კომისარის წინადადებით წავედი ს. დიღომში, უნდა დამეარსებია წითელი რაზმი. ჩასვლის პირველ დღეს მოვახდინე წინასწარი კრება და მეორე დღისთვის დავნიშნე მიტინგი. მიტინგს ხალხი ბლომად დაესწრო. მოხსენების შემდეგ, მიმდინარე მომენტზე ილაპარაკეს ადგილობრივმა გლეხებმა და ჩამოსულმა ჯარისკაცებმა. ყოფილი ჯარისკაცები დაბეჯითებით მიმტკიცებდენ, თითქოს წითელ გვარდიელები დღეში ოთხ თუმანს იღებდნენ და რა გასაკვირველია, რომ „ბურჟუების“ ინტერესებს იცავდნენო. მამები კი შეჰყურებდენ დიდი ხნის უნახავ შვილებს და ყველაფერზე ეთანხმებიან, რადგან მათი სიტყვით ეხლა მათ ყველაფერი იციან, როგორც გარედ გასულებმა და „ნასწავლებმა“.

გლეხები ყველაზედ უფრო დაინტერესებულია ზღვის საკითხით. როდესაც მათ გაიგეს, რომ ბოლშევიკებმა ბათუმი, ყარსი და არდაგანი ოსმალებს მისცეს, მათ აღშფოთებას საზღვარი არ ქონდა, ყველანი გაიძახოდენ: „ძირს ბოლშევიკები! ძირს მოღალატენი, გაუმარჯოს იარაღით ხელში თავისუფალი სამშობლოს დამცველ გლეხობასო!“ დასასრულ კრებამ დიდი ხმის უმეტესობით მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება მიმდინარე მომენტზე საგუბერნიო კომისარიატის წარმომადგენლისა ვადგენთ, ენერგიულად შევებრძოლოთ რევოლიუციის მტრებს, რომლებიც როგორც შიგნით, ისე გარედან ემუქრებიან ნორჩ თავისუფლებას, მოპოებულს მშრომელი ხალხის სისხლით. ამასთანავე მივმართავთ მთელ ქართლ-კახეთის გლეხობას მიბაძონ გურია-იმერეთს, რომლებიც ყველაზე უწინ გავიდნენ გმირულად სამშობლოს დასაცავად. დღის წესრიგში იყო წითელი რაზმის შედგენა, მაგრამ რადგან დაგვიანდა და ხალხიც დაიღალა კრება გადაიდო მეორე დღისთვის. საღამოს მოვახდინეთ ახალი არჩეული კოლექტივის წევრების კრება. კრებაზე განვიხილეთ, თუ როგორ უნდა შევდგომოდით წითელი რაზმელების არჩევნებს. გამოირკვა, რომ საზოგადო კრებაზე რაზმელების არჩევა შეუძლებელია, რადგან კარგი და ცუდიც მოინდომებენ ჩაწერას, ამიტომ გადავწყვიტეთ დაგვებარებია მეორე დღისთვის უბან-უბან ხუთ ხუთი საიმედო ამხანაგი, და იმათი თანდასწრებით მოგვეხდინა არჩევნები. ასეც მოხდა. მეორე დღეს შეიკრიბა ოცდაათამდე საიმედო პირი. ჩვენ მათ ავუხსენით თუ რა დიდი მოვალეობა აწევს წითელ რაზმს და ამიტომ საჭიროა საიმედო პირების დასახელება. ამის შემდეგ მივეცით წინადადება შეგროვილიყვნენ უბან უბან და თითოს დაესახელებია სამ სამი კაცი პასუხისმგებლობით. შემდეგ სიები ყველა დასახელებულ კანდიდატებისა იქნა წაკითხული საზოგადო კრებაზე. დასახელებულ კანდიდატებიდგან იქნა გამორიცხული სამი, როგორც არა კეთილ საიმედო პირი, დანარჩენები კრებამ ერთხმად დაამტკიცა. სულ იქნა არჩეული ოთხმოცდა ათი კაცი. იქვე ამოვირჩიეთ ათის თავები და რაზმის უფროსი. დავაარსეთ საბჭო რაზმისა და აღმასრულებელი კომიტეტი. თუ რომელიმე რაზმელი დანაშაულს ჩაიდენს საბჭო გაარჩევს მის საქმეს ან და აღმასრულებელი კომიტეტი. სასტიკად იქნა აკრძალული ღამ-ღამობით თოფის სროლა. დავადგინეთ აგრეთვე თოფები იქნეს შენახული ათის თავებთან და საჭიროების დროზე აიღონ. მეოთხე დღეს, როდესაც წამოსვლას ვაპირებდი გლეხებმა ადგილობრივ ყოფილ თავადების—მუხრანსკების შესახებ მითხრეს, რომ მუხრანსკები გზავნიან შეიარაღებულ ბრბოს ნავებით მტკვრით დასარბევად და შესაშინებლად გლეხებისა. ხშირად გამოდიან გამოღმა შეიარაღებულები, ასტეხენ სროლას, შემდეგ ჩასხდებიან ავტომობილში, რომელიც იქვე ელოდებათ და გასწევენ თფილისისაკენო. გლეხების აზრით ის შეიარაღებულები არიან შეყიდული შავრაზმელები შესაშინებლათ გლეხებისა, რომ მათ არ მოხნან მათი მიწა, გლეხები აბრალებენ აგრეთვე ამას წინათ უდანაშაულო მწყემსების მოკვლას მუხრანიანთ აგენტებს. ამიტომ დიღომელებს გადაუწყვეტიათ თუ კი ვინმეს საეჭვო პირს შეამჩნევენ ახლო-მახლო მიდამოებში, თითონვე გაასამართლებენ და სთხოვენ მონადირეებს ნუ წავლენ იქითკენ, რადგან შეიძლება შეცდომაში შევიდენ. დაშინებულ გლეხებს კინაღამ მოუკლავთ ჩვენი ამხანაგი დვალი ნადირობის დროს. ამასთანავე გლეხებმა მთხოვეს ავღძრა შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, წყლის გაყვანის შესახებ სარწყავ ადგილებში. საჭიროა აგრეთვე სასმელი წყლის გამოყვანა მახლობელ წყაროდან, რადგან ამას მოკლებული არიან გლეხები.

ვლ კაკაბაძე.

## წერილი რედ. მიმართ

ამხ. რედაქტორო! ამ წლის 26 თებერვალს თფილისის აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო რაზმის კულტურულ საგანმანათლებლო კომისიის კრებაზე ამხ. ალფესი გოგუაძემ გაგვაცნო შემდეგი: ის ყოფილა 1917 წელს 10 ივლისს ქ. ერძინჯანში არჩეული ქართული სამკითხველოს გამგეობის წევრათ. სამკითხველოს ქონია თანხა 1026 მ. ამ ფულის მეტი წილი შემოუწირავთ მე-39 დივიზიის ქართველ მხედრობას. როდესაც ყოფილა განკარგულება ხსენებულ დივიზიის უკან დაბრუნებისა, სამკითხველოს გამგეობას მოუხდენია სასწრაფო კრება და დაუდგენია: შემოწირულების ნახევარი (ფული თუ წიგნები) დარჩეს ადგილობრივ ერძინჯანში, რომ მით საშუალება მიეცეს მომსვლელ ჯარისკაცებს განაგრძონ ეს ფრიად სასარგებლო საქმე. რაც შეეხება შემოწირულების ნახევარს ხუთას ცამეტ მანეთს და ან. ჯანაშვილისაგან შეწირულ 10 მ. და ამხ. სიო ტულუშისაგან 2 მანეთს სულ 525 მან. სამკითხველოს გამგეობას მიუბარებია მისთვის და დაუვალებია მოეწყო ქართული სამკითხველო ხსენებულ დივიზიაში. მას უყიდნია სამკითხველოსთვის საჭირო წიგნები, მაგრამ ვინაიდან მოხდა ჯარის დემობილიზაცია, ეს წიგნები (165 მან. 65 კ.) და ფული (359 მ. 35 კ.) სასურველათ სცნო გადაეცეს ზემო აღნიშნულ რაზმის სამკითხველოს, მხოლოდ ომის გათავების შემდეგ ზემო აღნიშნული წიგნები და ფული გადაეცეს ქართულ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თანახმათ ხსენებულ დივიზიის სამკ. გამგეობის დავალებისა. ამისთვის საგანმანათლებლო კომისია მადლობას უძღვნის ამხ. ალფესი გოგუაძეს ასეთი უხვი შემოწირულებისთვის.

კომისიის თავმჯდომარე ხიმონ ხუხუნაიშვილი, მდივანი მიხაკო გეგენავა.

## ცნობები

**ჯარის-კაცთა შესახებ.**

ჯარისკაცი ანდრია დავითის ძე კვერნაძე მსახურებდა კავკასიის მომქმედ ჯარში მე-18 კავკასიის პოლკში, ნესტროვოი როტაში. ექვსი თვეა მის შესახებ არა ვიცით-რა. ვთხოვთ ვინც რაიმე იცის, გვაცნობოს შემდეგი მისამართით: სად. წიფა, დავით კვერნაძეს.

— ჯარისკაცი ლუკა ვასილის ძე ტუღუში, მცხოვრები ჩიჩხათის საზოგადოებისა, მსახურებდა ქ. ალექსანდროპოლში, სადაც ფილტვის ანთებით ავათ გახდა, რომელიც მოათავსეს ადგილობრივ № 4 სამხედრო საავათმყოფოში. ერთ წელზე მეტია მის შესახებ არაფერი ვიცით. თუ ვინმემ რამე იცით მის შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: სად. ჯუმათი, ყარამან ტუღუში.

## „ეშმაკის მათრ.“ ფონდი

თფილისის მუშ. და ჯარისკაცთა აღმასრულებელ კომიტეტის საგანგებო რაზმი იღებს რა თავის წვლილს ჟურ. „ეშმაკის მათრახის“ სასარგებლოთ— 212 მ. 50 კ. *) მოუწოდებს ამხანაგებს ხელი შეუწყონ ჟურნალის აღდგენას.

რაზმის მონდომ. კ. იმნაძე

## ჩვენი ფოსტა

**სარდიონ დ.-ელიშვილს.** თქვენ მიერ გამოგზავნილ წერილში არ არის ნაჩვენები თქვენი ადრესი, რაც აუცილებლათ საჭიროა ჩვენთვის, რომ წერილი დაიბეჭდოს.

*) სიას ხელს აწერს 52 კაცი, რომელსაც უადგილობის გამო ვერ ვბეჭდავთ.

---


მიმდინარე წლის 10 მარტს სადგურ რიონთან ბათუმიდან მომავალ № 24 მატარებელზე

**დაჰკარგე**

რ. ს. დ. მ. პ. საწევრო ბილეთი № 2607 მპოვნელს უმორჩილესად ვსთხოვ დამიბრუნოს შემდეგი ადრესით: თფილისი, დეპო, აღმასრულებელი კომიტეტი, ალექსანდრე ნიკოს ძე შენგელიას. 1—1

კანტორა „განათლებაში“ იყიდება თავების და ვირთხების

**საწამლავი**

ოლღას ქ. № 6.

ექიმი

**ნ. ი. მახვილაძე**

იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათ. და სალ. 4—6 საათზე. ადრესი: მოსკოვის ქუჩა № 11.

ექიმი ქალი

**რ. გ. შიშლო-საგაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ-დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

ექიმი

**დ. ი. ქორდანია**

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

**ექიმი გ. მ. მუხაძე**

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

**ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნავი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის

**გ. გ. მეგრაბიანცისა**

შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ჭლექით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანები, პნევმოტორაქსი, დ'არსენვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

სამკურნალო კაბინეთი

ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

**კეკელიასი**

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28

ექიმი

**ვ. ვ. კლდიაშვილი**

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დილის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვავზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დღის 1—2 საათამდე.

ექიმი

**გ. დონხინი**

ყოფილ იასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს

თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი

**დ. ი. ჯაფარიძე**

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

**ექიმი პ. ი. გვარჯალაძე**

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

**ექიმი ნ. ლ. ცურიაშვილი**

მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.

იღებს ყოველ-დღე შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნოთი დასნეულებულ ავადმყოფთ—დილის 9—3 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ბინა № 5.

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის

ყოველ დღიურ გაზეთ

**„ერთობა“-ზე**

ხელის მოწერის პირობები:

| | |
|---|---|
| 1 თვით — 4 მან. 50 კ. | 6 თვით — 27 მანეთი |
| 2 თვით — 9 მანეთი. | 1 წლით — 50 მანეთი |
| 3 თვით — 13 მ. 50 კ. | ცალკე № ყველგან 20 კ. |

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება,

შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ ზვაიძულა.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:

Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА“.

ამხ. და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააგვიანებენ.


მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გბაევის შესახვევი № 1.